# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 25 ნოემბერი 1999 №226 (999) | ფასი 50 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

## ქინქლაძეს გიორგობა ჩაუშხარეს

ქართველ ნახევარმცველს თვით სერ ჯეფ ჰერსტი თავდებობს

3

## მსაჯებო, ნუ სცემთ ფეხბურთელებს!..

ფედერაციამ გიორგი ბალაშვილი სეზონის ბოლომდე, ლევან მიქაძე კი 4 მატჩით დასაჯა

8

## დიდი წაგების კაცი

93 წლისა გარდაიცვალა ფლავიო კოსტა, მწვრთნელი, რომლის ხელმძღვანელობითაც 1950 წელს ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონობა დაკარგა

13

## ეგრე არ არის, გუგაო!

სამპრასმა კუერტენი ჩაყლაპა



14

## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



ვახტანგ ბალავაძე



REUTERS

ჩელსი — ფეიენოორდი 3:1. ლონდონელი ტორე ანდრე ფლო როტერდამელთა კარში თავის მეორე გოლს ზეიმობს

# უცნაური ჩხუბი, ყინვა, თოვლი და გოლები

საათი უკვე მსაჯის წამატებულ წუთებს ითვლიდა, როდესაც მარსელის „ველოდრომზე" სტუმრების კართან საშუალო სიმწვავის მომენტი შეიქმნა. ამ დროს ანგარიში უკვე 0:2 გახლდათ და „ლაციოს" გოლი რომც გაეშვა — არადა არ გაუშვია — სამი ქულის ბედს მაინც ველარაფერი შეცვლიდა. თეორიულად, მართალია, ფეხბურთში ყველაფერი ხდება, რაც ამავე შეჯიბრების ბოლო ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედმა" დაგვიმტკიცა, მაგრამ დაგვეთანხმებით, ის ამბავი მაინც გამონაკლისი გახლდათ. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ რომაელებს საგანგებო ნერვიულობის მიზეზი არ ჰქონდათ. ამიტომაც იყო უცნაური მათი მეკარის ლუკა მარკეჯანისა და მცველის სინიშა მიხაილოვიჩის ერთობ მძაფრი, ლამის ხელით შეხებამდე მისული ნალაპარაკება...

„ლაციომ" შეხვედრის ბოლო 30 წუთში ორი გოლი გაიტანა და ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის D ჯგუფში პირველი გამარჯვება მოიპოვა. იტალიური სერია A-ს ლიდერმა ამ მოგებით ნაწილობრივ მაინც გამოიკეთა გასულ უქმეებზე, რომაულ დერბიში ნაწნევი 1:4-ით გაფუჭებული განწყობა. იგი 64-ე წუთზე ნახევარმცველის, დეიან სტანკოვიჩის თავურით დაწინაურდა. სტანკოვიჩს საგოლე პასი, საკმაოდ შორიდან, ჯუზეპე პანკარომ ჩააწოდა. ანგარიშის გახსნიდან 14 წუთის შემდეგ სტუმრებმა მეორე გოლიც გაიტანეს. მარსელო სალასი და სერჟიო კონსეისაო ერთად შევიდნენ მეტოქეთაგან გაწმენდილ საჯარიმოში. წინააღმდეგობას მათ მხოლოდ გოლკიპერი სტეფან პორატო თუ გაუწევდათ. სალასმა პორატო თავისკენ მიიტყუა და ბურთი კონსეისაოს გადააწოდა, ხოლო პორტუგალიელს ჰაერის წინააღმდეგობაღა ჰქონდა დასაძლევი.

იხილეთ მეორე გვერდი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## მეორე ეტაპი I ტური

A ჯგუფი

| | |
|---|---|
| ჰერტა | 1 |
| ბარსელონა | 1 |
| სპარტა | 0 |
| პორტუ | 2 |

B ჯგუფი

| | |
|---|---|
| ფიორენტინა | 2 |
| მანჩესტერი | 0 |
| ვალენსია | 3 |
| ბორდო | 0 |

C ჯგუფი

| | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| რეალი | 2 |
| რუსენბორგი | 1 |
| ბაიერნი | 1 |

D ჯგუფი

| | |
|---|---|
| მარსელი | 0 |
| ლაციო | 2 |
| ჩელსი | 3 |
| ფეიენოორდი | 1 |

REUTERS კადრიდან



დინამო — რეალი 1:2. მადრიდელი რობერტო კარლოსის მაკრატელა 11 გრადუსიან ყინვაში

# უცნაური ჩხუბი, ყინვა, თოვლი და გოლები

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. I ტური

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

ამავე ჯგუფში პირველი სამი ქულა ჩაიწერა ლონდონის „ჩელსიმ“. მან „ფეიენოორდს“ 3:1 მოუგო. გოლები ნიგერიელმა განაპირა მცველმა, სელესტინ ბაბაიარომ და ნორვეგიელმა თავდამსხმელმა ტორე ანდრე ფლომ (ორი) გაიტანეს. როტერდამელთაგან პასუხი სულ ბოლოს, არგენტინელმა ხულიო კრუზმა გასცა. მან წლობით შეუმცდარი მარსელ დესაის შეცდომით ისარგებლა.

მრავალეროვნულმა ინგლისურმა გუნდმა მისთვის ჩვეული, მრავალპასიანი ფეხბურთი გააჩაღა და სტუმრები დასაწყისიდან ბოლო წუთამდე სერიოზული ზეწოლის ქვეშ მოაქცია, თუმცა ანგარიში პირველი ტაიმის წამატებულ წუთებამდე ვერ გახსნა — რუმინელიდან პეტრესკუს პასით გოლი ზემოხსენებულმა ნიგერიელმა გაიტანა.

შესვენების შემდეგ „ჩელსი“ მომენტს მომენტზე ქმნიდა, რისი ლოგიკური დაგვირგვინებაც 67-ე წუთზე ვიხილეთ: ბაბაიარომ ბურთი ძელს გაარტყა, ხოლო ასხლეტილი ფლომ კარში შეაგდო. მესამე, როგორც გითხარით, ფლომვე გაიტანა.

C ჯგუფში კი ციოდა. აქ თამაშები ნორვეგიასა და უკრაინაში გაიმართა. ტრონდჰეიმში „რუსენბორგმა“ გასული გათამაშების ფინალისტს, „ბაიერნს“ უმასპინძლა.

ანგარიში სტუმართა ფორვარდმა, კარსტენ იანკერმა მე-10 წუთზე გახსნა. მისმა დაახლოებით 15 მეტრიდან დარტყმულმა მეკარე იორნ იამტფალს მხარი უქცია.

გერმანელები ყველაფერში სჯობდნენ ნორვეგიელებს, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი ვეტერანის, ლოთარ მათეუსის გამოცდილება არ უმაგრებდათ ზურგს. იანკერსა და პაულუ სერჟიოს კიდევ შეეძლოთ მასპინძელთა კარის დალაშქვრა, მაგრამ ვერ შეძლეს, ხოლო შესვენებისას მწვრთნელის, ნილს არნე ეგენის მიერ გამხნევებულმა რუსენბორგელებმა მეორე ტაიმში მეტი აგრესიულობა გამოავლინეს და ბენტ სკამელსრუდმა საჯარიმოს კიდიდან გაათანაბრა კიდეც ანგარიში.

კიევში, მინუს 11 გრადუსში, მადრიდის „რეალმა“ კლიმატს, მეტოქეს და საკუთარ თავს სძლია — 2:1. ანგარიში მე-17 წუთზე ფერნანდო მორიენტესმა გახსნა. მას პასი რობერტო კარლოსმა გადააწოდა, ხოლო შესვენებიდან სამი წუთის შემდეგ რაულმა აჯობა „დინამოსა“ და უკრაინის ნაკრების გოლკიპერს ალექსანდრ შოვკოვსკის.

მასპინძლებმა თამაშის მიწურულს თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან შეამცირეს სხვაობა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის დაწყებამდე მოედანზე დაფენილ 20 სანტიმეტრიან თოვლს ათასამდე ჯარისკაცი წმენდდა.

**მიხეილ სურგულაძე**

### C ჯგუფი

**დინამო 1:2 რეალი**

0:1 მორიენტესი (17), 0:2 რაული (48), 1:2 რებროვი (85პ)

დინამო: შოვკოვსკი, მამედოვი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, ხაცკევიჩი, ბელკევიჩი, გუსინი, იაშკინი, რებროვი, კონოვალოვი (შაცკიხი 45)

რეალი: ბისარი, სალგადო (კამპო 28), კარემბუ, ხულიო სეზარი, რობერტო კარლოსი, ზეედორფი (კარანკა 90), ელგერა, გუტი, სავიო (სანჩისი 71), რაული, მორიენტესი

მსაჯი: დ. ილერი (ინგლისი)

**რუსენბორგი 1:1 ბაიერნი**

0:1 იანკერი (10), 1:1 სკამელსრუდი (47)

რუსენბორგი: იამტფალი, ბასმა, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, ვისენსი (დალუმი 70), სკამელსრუდი, ბერგი, სორენსენი, კარეუ, სტრანდი

ბაიერნი: კანი, ბაბელი, კუფური, ანდერსონი, შოლი (ციკლერი 81), ეფენბერგი, პაულუ სერჟიო (სანტა კრუზი 78), ფინკი, ტარნატი, იანკერი, სალიჰამიჯიჩი

მსაჯი: ს. ბრასკი (იტალია)

### D ჯგუფი

**მარსელი 0:2 ლაციო**

0:1 სტანკოვიჩი (64), 0:2 კონსეისაო (78)

მარსელი: პორატო, პერესი (მორისი 67), ფიშერი, ბერიზო, გალა, ბრანდო, ლუქსენი, დალმა, პირესი, დიუგარი, დიავარა (რავანელი 57)

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, კონსეისაო, სენსინი, სტანკოვიჩი, ნედვედი (ალმეიდა 82), მანჩინი (ვერონი 74), სალასი (ბოკშიჩი 79)

მსაჯი: მ. დიას ვეგა (ესპანეთი)

**ჩელსი 3:1 ფეიენოორდი**

1:0 ბაბაიარო (45), 2:0, 3:0 ფლო (67, 86), 3:1 კრუზი (90)

ჩელსი: დე გუი, ფერერი, პეტრესკუ, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, დეშამპი (დალა ბონა 88), უაიზი, პოიეტი (დი მატეო 88), ძოლა, ფლო

ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, კონტერმანი, ბოსველტი, ვან ფოსენი (სამარჯიჩი 60), დე ვისერი, ვან ვანდერენი, კალუ, ტომასონი (კრუზი 58), ვან გასტელი, სომალია

მსაჯი: ხ. მ. გარსია არანდა (ესპანეთი)

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი
### I წრე. 23 ნოემბერი

**უდინეზე (იტალია) 0:1 ლევერკუზენი (გერმანია)**

0:1 ბალაკი (75)

უდინეზე: ტურჩი, სოტილი, ძანკი, ბერტოტო, ჟენო, იორგენსენი (ტოლედო 35), ფიორე, ჯანიკედა (პინედა 59), ლოკატელი, სოსა (მუცი 71), პოჯი

ლევერკუზენი: მატიშეკი, ჰოფმანი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, გრეშკო, ჟივკოვიჩი, რამელო, ემერსონი, ბალაკი (შნაიდერი 81), ზე რობერტო (ბაინლიხი 90), კირსტენი (მამიჩი 90)

სამშაბათს უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის ოთხი მატჩი ჩატარდა. საინტერესო იყო იტალიური „უდინეზესა“ და გერმანული „ლევერკუზენის“ დაპირისპირება. საერთო შეფასებით, ორივე გუნდს მერვედფინალში მოხვედრის თანაბარი შანსი ჰქონდა, თუმცა გუშინწინდელმა შედეგმა მომდევნო ეტაპზე გასვლის ფავორიტად გერმანული გუნდი აქცია. „ლევერკუზენმა“, რომელიც უეფას თასის გათამაშებაში ჩემპიონთა ლიგის ტურნირიდან გავარდნის შემდეგ ჩაება, შეძლო, სტუმრად, უდინეში დაემარცხებინა „უდინეზე“. ერთადერთი გოლი ამ შეხვედრაში საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე გერმანელთა ნახევარმცველმა მიხაელ ბალაკმა გაიტანა მას შემდეგ, რაც მასპინძელთა მეკარე ლუიჯი ტურჩი მოატყუა. ეს ერთადერთი მომენტი არ ყოფილა, „ლევერკუზენის“ ფორვარდ ულფ კირსტენსაც ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენა. მასპინძლები მატჩის დასაწყისში საკმაოდ აქტიურობდნენ, თუმცა პირველი ათი წუთის შემდეგ ენთუზიაზმი გაუქრათ და მერე თავი ვერაფერს მოაბეს.

მოკლედ, ახლა გერმანელებს შარშანდელი შედეგის გამეორება ძალუძთ. 1998-99 წლის უეფას თასის გათამაშებაში მათ სწორედ „უდინეზე“ გამოთიშეს ასპარეზობიდან. შეგახსენებთ, რომ მაშინ ლევერკუზენელებმა იტალიელები ორი მატჩის ჯამში 2:1 დაამარცხეს.

**ბოლონია (იტალია) 1:1 გალათასარაი (თურქეთი)**

1:0 სინიორი (68), 1:1 ჰაქან შუქური (83)

ბოლონია: პალიუკა, პაგანინი, ფალკონე, ბია, ტარანტინო, პარამატი, ინგესონი, ზე ელიასი (ვომე 44), ნერვო, სინიორი (ერიბერტო 75), ვენტოლა (სიპრიენი 88)

გალათასარაი: ტაფარელი, ჰაქან უნსალი, ჯიკა პოპესკუ, დავალა უმითი (საფეტი 90), კაპონე, აჰმეთი, ემრე, სუათი (ფათიჰი 83), ჰასან სასი, გ. ჰაჯი (ერგუნი 54), ჰაქან შუქური

ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან გამოვარდნილმა კიდევ ერთმა კლუბმა, თურქულმა „გალათასარაიმ“ ჰაქან შუქურის 83-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით მერვედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა. თურქებმა ბოლონიაში „რენატო დელა ბრას“ სტადიონზე იქაურ კლუბ „ბოლონიასთან“ ფრე 1:1 გაახერხეს. მატჩის 68-ე წუთზე იტალიელთა ლიდერმა ბეპე სინიორიმ თავისიანების დაწინაურება შეძლო, თუმცა 15 წუთის შემდეგ ჰაქან შუქურმა თავური დარტყმით ბოლონიელთა უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გააქრო. „სამწუხაროა, მეორე ტაიმში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, გოლის გატანის რამდენიმე რეალური შანსიც შეგვექმნა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ“ — განაცხადა „ბოლონიას“ თავკაცმა ფრანჩესკო გვიდოლინიმ. ამ მატჩში ღირსშესანიშნავი დუელი შედგა ბოლონიელი ბეპე სინიორისა და „გალათასარაის“ ბრაზილიელ გოლკიპერ კლაუდიო ტაფარელს შორის. ფორვარდს თავისი პირველი გოლი სერია A-ში სწორედ ტაფარელის კარში გაუტანია 1991-92 წლების სეზონში. მაშინ სინიორი ამჟამად სერია C-ში მოასპარეზე „ფოჯას“ რიგებში ირიცხებოდა, ხოლო ტაფარელი „პარმას“ კარს იცავდა. სინიორის პირველი ჰეთ-თრიქი სერია A-ში სწორედ ტაფარელის კარში გაუხერხებია, მის გუნდს, რომის „ლაციოს“ კი იმავე „პარმასთან“ 5:2 მოუგია. სინიორიმ ახლაც გაუტანა ტაფარელს, მაგრამ მისმა კლუბმა თურქების დამარცხება ვერ შეძლო.

მოკლედ, ბოლონიელთა მწვრთნელ გვიდოლინის სერიოზული გამოცდა ელის. მას უთუოდ ემახსოვრება, თუ რა დამართა „გალათასარაიმ“ იტალიის ჩემპიონ „მილანს“ არცთუ დიდი ხნის წინ.

**ვოლფსბურგი (გერმანია) 2:3 ატლეტიკო (ესპანეთი)**

0:1 აგილერა (6), 1:1 იუსკოვიაკი (21), 1:2 ჰასელბაინკი (37), 1:3 აგილერა (58), 2:3 აკონორი (83პ)

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვანცი, ონილი (მალტრიცი 77), ტომსენი, გრაინერი, სებეშენი (ვიუკი 27), ნოვაკი, ვაისერი, აკონორი, იუსკოვიაკი, ფელდჰოფი (ბანზა 70)

ატლეტიკო: მოლინა, გუსტავო, ტონი მუნიოსი, სანტი, ბარახა (ვალერონი 77), ბეიბლი, აგილერა, გასპარი, სოლარი (რობერტო 84), ხოსე მარი (კორეა 87), ჰასელბაინკი

გერმანიაში ადგილობრივ „ვოლფსბურგთან“ მიღწეული წარმატებით ესპანურ მადრიდის „ატლეტიკოს“ მომდევნო ეტაპზე გასვლის მშვენიერი შანსი გაუჩნდა. მადრიდელებმა სტუმრად 3:2 მოიგეს. შეხვედრის დებიუტშივე, მე-6 წუთზე, კარლოს აგილერამ წინ გაიყვანა სტუმრები, თუმცა ეს უპირატესობა მხოლოდ 15 წუთს გრძელდებოდა. 21-ეზე პოლონელმა ანჟეი იუსკოვიაკმა ანგარიში გაათანაბრა. მან თანაგუნდელ აკონორისგან მშვენიერი პასი მიიღო და „ატლეტიკოს“ გოლკიპერის ხოსე მოლინას მოტყუებაც არ გასჭირვებია. 37-ე წუთზე ესპანელები კვლავ დაწინაურდნენ. ამჯერად ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა გამოიჩინა თავი. ლიდერობა სტუმრებს პირველი გოლის ავტორმა, აგილერამ განუმტკიცა და ამრიგად დუბლის შესრულებაც შეძლო. თუმც მადრიდელებმა ორბურთიანი უპირატესობით მაინც ვერ მოიგეს, მატჩის მიწურულს, 83-ე წუთზე, ვოლფსბურგელთა რიგებში საგოლე პასის ავტორმა ჩარლზ აკონორმა ზუსტად გამოიყენა თერთმეტმეტრიანი და სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა — 2:3. მატჩის შემდეგ ვოლფსბურგელთა მწვრთნელი ვოლფგან ვოლფი უკმაყოფილო იყო: „ძალიან ცუდად ვითამაშეთ, თუ მადრიდშიც ასე უნიათოდ გავისარჯეთ, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი არ გვექნება“.

**აეკ (საბერძნეთი) 2:2 მონაკო (საფრანგეთი)**

0:1 ჟიული (25), 1:1 ნიკოლაიდისი (45), 1:2 სიმონე (77), 2:2 ნიკოლაიდისი (90)

აეკ: ატმაციდისი, დელასი, კოსტენოღლუ, კაპსისი, კასაპისი, ზიკოსი, მარკოსი (კონსტანტინიდისი 83), მალადენისი, ჩირიჩი (სავევსკი 83), ნიკოლაიდისი, ბიეკოვიჩი

მონაკო: ობრი, სანიოლი, კონტრერასი, კრისტენვალი, მარკესი, ჯეტუ, ლამუში, გალიარდო, ჟიული, სიმონე, ელუა (პრსო 46, და კოსტა 79)

აღსანიშნავია, რომ ოთხი გადმოტანილი მატჩიდან, რომელიც გუშინწინ გაიმართა, ერთმა მასპინძელმა გუნდმაც ვერ მოიგო. ბერძნულმა აეკ-მა ფრანგულ „მონაკოსთან“ ფრედ 2:2 დაასრულა შეხვედრა.

არადა, 25-ე წუთზე მასპინძლები საერთოდ აგებდნენ თამაშს. პირველი გოლი ლუდოვიკ ჟიულიმ გაიტანა. ტაიმის ბოლო წუთზე ბერძენმა დემის ნიკოლაიდისმა გაათანაბრა ანგარიში. პირველი ტაიმი ფრედ დასრულდა — 1:1. 77-ე წუთზე მონაკოელთა ლიდერმა, მარკო სიმონემ გაიყვანა წინ თავისიანები და რომ არა იმავე ნიკოლაიდისის მიერ ისევ ტაიმის მიწურულს, 90-ე წუთზე გატანილი გოლი, ფრანგები თამაშს მოიგებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქინქლაძეს გიორგობა ჩაუმწარეს



გიორგი ქინქლაძე



ჯეფ ჰერსტი



ალან ბოლო

სარედაქციო არქივიდან

23 ნოემბრიდან მოყოლებული, გიორგი ქინქლაძის ინგლისური „დერბი ქაუნთში“ დასაქმების საკითხი მეტად დრამატულად ვითარდება. მოგეხსენებათ, რომ ქინქლაძეს არ მოუგროვდა საქართველოს ნაკრებში თამაშების 75 პროცენტი და მან სამუშაო ვიზა ვერ მიიღო.

გიორგობას, 23 ნოემბერს, „დერბი ქაუნთიმ“ ოფიციალური აპელაციით მიმართა დიდი ბრიტანეთის განათლებისა და ადსაქმების დეპარტამენტს და სთხოვა, შეღავათი მიეცათ ქინქლაძისთვის, რაც დეპარტამენტმა „მიდლსბროში“ ბრაზილიელი ჟუნინიოს გადასვლისას დაუშვა.

„დერბი“ არ უარყოფს, რომ ქინქლაძე არ აკმაყოფილებს მსგავს შემთხვევაში დასაქმების დეპარტამენტის არც ერთ მოთხოვნას. ასეთი ინგლისური კანონმდებლობით ოთხია. კლუბის ხელმძღვანელობა აქცენტს ქინქლაძის ნიჭზე ამახვილებს, რომელიც „პრემიერლიგის მატჩებს უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს გახდის“.

სწორედ ამ არგუმენტების მოშველიებით გააპროტესტა „დერბი ქაუნთის“ შეფობამ დასაქმების დეპარტამენტის გადაწყვეტილება, არ მიეცა ქინქლაძისთვის ინგლისში მუშაობის უფლება.

ეს შეხვედრა გუშინ დილიდან მიმდინარეობდა შეფილდში მდებარე სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“. „დერბის“ წარმოადგენდნენ მენეჯერი ჯიმ სმიტი, კლუბის მდივანი კიტ პირსონი და კლუბის თავმჯდომარე კიტ ლორინგი. ისინი 5-საათიანი შეხვედრის დროს ცდილობდნენ, დაეყოლიებინათ დიდი ბრიტანეთის განათლებისა და დასაქმების დეპარტამენტის სამი მუშაკი, შეეცვალათ გადაწყვეტილება.

ამ შეხვედრაზე ქინქლაძის გარდა განიხილებოდა ებრაელი ფეხბურთელის, ავი ნიმანის საკითხიც, რომელიც „დერბიმ“ ახლახან შეიძინა.

არც ერთი ეს ფეხბურთელი განხილვას არ ესწრებოდა. ბრიტანული კანონებით, ამ პროცედურისას სამუშაოს მსურველები საერთოდ ქვეყანაში არ უნდა იყვნენ. ინგლისური მედიის ცნობით, ქინქლაძე საქართველოში გამოემგზავრა, თუმცა აქაური წყაროები გიორგის სამშობლოში ჩამოსვლას არ ადასტურებენ.

დეპარტამენტზე ზეწოლისთვის „დერბიმ“ ორი მძლავრი არგუმენტი გამოიყენა. ჯიმ სმიტმა ინგლისელ ჩინოვნიკებს წარუდგინა ლეგენდარული ფეხბურთელის სერ ჯეფრი ჰერსტის (ვისაც არ ახსოვს, გევახსენებ, რომ ამ კაცმა 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში სამი გოლი გაიტანა) და „პორტსმუთის“ მწვრთნელის, ასევე კარგი ფეხბურთელისა და ქინქლაძის ყოფილი დამრიგებლის, ალან ბოლის სარეკომენდაციო წერილები. ორივე ეს პიროვნება წერილში ადასტურებდა, რომ ქინქლაძე დიდი ფეხბურთელია და მისი გამოჩენა ინგლისურ ფეხბურთში პრემიერლიგისადმი ინტერესს კიდევ უფრო გაზრდის.

როგორც იქაური წყარო იუწყება, განხილვის დროს ერთ მომენტში საქმე ქინქლაძის საწინააღმდეგოდ შეტრიალდა. ამ დროს ჯიმ სმიტს მეორე ძლიერი არგუმენტი მოუშველიებია: „ჩვენ ახლა დიდ გუნდებთან გვიწევს თამაში, მგონია, რომ კარგად აგმოვალთ, რადგან გუნდის სტრუქტურა უკვე აწყობილია. გვაკლია ფეხბურთელი, რომელიც ნახევარდაცვას დაალაგებს და გოლებს გაიტანს. პირველი საქმის კეთება ქინქლაძეს დიდებულად შეუძლია. ეს სწორედ ის არის, რაც გვაკლია და რისთვისაც ვიბრძვით. გოლებს კი ნიმანი გაიტანს“.

ამ არგუმენტით სმიტმა დეპარტამენტზე ზეწოლა და მისი „ანტიდერბული“ პოზიციის დაფიქსირება სცადა.

მოგეხსენებათ, „დერბი“ გავარდნის პირას არის და ასეთ პირობებში იმ ფეხბურთელებისთვის დასაქმებაზე უარის თქმა, რომლებიც, კლუბის განცხადებით, გავარდნისგან იხსნიან, მეტად უხერხული ფაქტია. მით უმეტეს, რომ უკვე არსებობს თავად დეპარტამენტის მიერ დაშვებული პრეცედენტი — ბრაზილიელი ჟუნინიოს გადასვლა „მიდლსბროში“, რომელიც ასევე ვერ აკმაყოფილებდა ინგლისური კანონის მოთხოვნებს.

რამდენად მოახდენდა გავლენას ეს არგუმენტები დეპარტამენტზე, ცნობილი არ არის. გაზეთის სტამბაში წალებამდე განათლებისა და ადსაქმების დეპარტამენტის 3 ჩინოვნიკი დახურულ კარს მიღმა თათბირობდა.

თავად ჯიმ სმიტმა კი განაცხადა, რომ დეპარტამენტის პასუხს 24 საათში არ ელის. „ქინქლაძის საკითხი, შეიძლება ოთხშაბათს ვერც გაირკვეს, პასუხს ალბათ, ხუთშაბათს მივიღებთ„.

გუშინდელი ბოლო ინფორმაციებით ისე ჩანდა, რომ ინგლისის მთავრობამ გიორგი ქინქლაძეს გიორგობასთან ერთად მთელი წელიწადიც ჩაუმწარა... თუმცა ვიყოთ ოპტიმისტები, ქინქლაძის მხარეს ხომ თვით ჯეფ ჰერსტი დგას, ლეგენდა, რომელსაც ინგლისში სერის გარეშე არ მიმართავენ.

სიმონ მენაბდე

# მსაჯებო, ნუ სცემთ ფეხბურთელებს!..

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც ძირითადად ისევ „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მეთორმეტე ტურის მატჩში მომხდარ ინციდენტს შეეხო. ამჯერად შედეგის გაუქმებასა და შეხვედრის გადათამაშებაზე არაფერი თქმულა, მხოლოდ ფეხბურთელთა უმსგავსო საქციელზე იმსჯელეს. „ქართული ფეხბურთის მოსამართლეებმა“ სხვა საქმეებიც გაარჩიეს, თუმცა მთავარი მაინც „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩი გახლდათ.

სხდომაზე რკინიგზელთა კლუბის წარმომადგენელი ედუარდ სანაია და მსაჯ გურამ ასკაროლლის ფიზიკურ შეურაცხყოფაში ბრალდებული ფეხბურთელები — გიორგი მიქაძე და გიორგი ბალაშვილი გამოცხადდნენ.

სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის წევრებმა 13 საათზე დაიწყეს სხდომა. ცოტა ხანს დახურულ კარს მიღმა ითათბირეს, შემდეგ კი მასმედიაც მიგვიწვიეს, დასამალი არაფერი გვაქვსო.

სტკ-მ თავიდან ედუარდ სანაიას მოუსმინა, რომელმაც ზემოხსენებულ შეხვედრაში მომხდარი აქამდე უცნობი ფაქტის შესახებ ისაუბრა:

„ამ მატჩში ფეხბურთში უპრეცენდენტო ამბავი მოხდა. მსაჯმა ჩვენ შეურაცხყოფა მოგვაყენა. როდესაც მან „დინამოს“ სასარგებლოდ უსამართლო პენალტი დანიშნა და ფეხბურთელებმა ჰკითხეს, ასე მკაცრად რატომ გვსჯიო, ასკაროლლიმ შეიგინა, ერთი „ლოკომოტივის“ დედაცო. დიახ, სიტყვასიტყვით სწორედ ასე თქვა. მან ამის შემდეგ მიქაძესაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ამასაც არ დასჯერდა და ხელიც კი ჰკრა. წითელი ბარათიც ისე ამოიღო, თვითონაც არ იცოდა ვის უჩვენა. მერე მიქაძეს დაუძახა და უთხრა, გაძევებული ხარო. ფეხბურთელებიც პროვოკაციას წამოეგნენ. უკანონოდ დასჯილნი მდგომარეობიდან გამოვიდნენ.

მიუხედავად ასკაროლლის ასეთი საქციელისა, ჩვენ არც ბალაშვილსა და არც მიქაძეს არ ვამართლებთ. პირიქით, მკაცრადაც დავსაჯეთ. თითოეული 1000 ლარით დავაჯარიმეთ. ახლა სიტყვა თქვენზეა, თუმცა ერთს გთხოვთ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას ყველაფერი გაითვალისწინეთ“.

ამის შემდეგ ფეხბურთელებსაც მიეცათ ორიოდე სიტყვის თქმის საშუალება.

*გიორგი ბალაშვილი:* „ძალიან დაძაბული თამაში იყო. ბოლო წუთებში მსაჯმა ჩვენს წინააღმდეგ უხეში შეცდომები დაუშვა, რამაც მოთმინებიდან გამოგვიყვანა. ბიჭებიც ამ პროვოკაციას წამოვეგეთ. ჩემს კარიერაში წითელი ბარათი ერთხელაც არ მიმიღია. ახლა კი, მიუხედავად ასეთი მსაჯობისა, თავს დამნაშავედ ვგრძნობ. ასე არ უნდა მოვქცეულიყავი“.

*გიორგი მიქაძე:* „როდესაც არეულობა დაიწყო, ასკაროლლიმ ხელი მკრა და შემაგინა. წითელი ბარათიც მიჩვენა. რისთვის, არ ვიცი. მე მას მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა მივაყენე, თუმცა ჩემს გარდა სხვებიც აგინებდნენ. მან უსამართლოდ დამჩაგრა. მერე მეც გავბრაზდი და დასარტყმელად გავექანე, მაგრამ არ ჩამირტყამს. მსაჯს ჩემგან არც ხელი მოხვედრია და არც ფეხი. თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ“.

ბალაშვილისგან განსხვავებით, მიქაძის მოულოდნელმა განცხადებამ სტკ-ს წევრები და კაბინეტში მყოფი მასმედიისა თუ ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლები ცოტა გაკვირვებულიც დატოვა.

როგორც მიქაძის, ისე სანაიას გამოსვლა, ყველასთვის მოულოდნელი იყო. სტადიონზე შეკრებილ ქომაგთაგან ამგვარი რამ არავის დაუნახავს. ეს ფაქტი არც ვიდეოჩანაწერში გამოჩენილა, რომელიც სტკ-მ ერთი კვირის წინ ლამის ასჯერ დაატრიალა. ამიტომ ლოკომოტიველთა ნათქვამი რეალობად თითქმის ვერავინ აღიქვა.

ისე, თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, მაშინ ასკროლლი იოლად გადარჩენილა. ერთი-ორი მუჯლუგუნი, რომელიც მან იმ დღეს იგემა, კიდევ ცოტა ყოფილა. ასევე ცოტა ყოფილა ფედერაციისგან მიღებული სამთვიანი დისკვალიფიკაციაც. წარმოიდგინეთ, ასკროლლი თუ ფეხბურთელთა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ასე მსუბუქად დაისაჯა. სხვა მსაჯები რომ ამას გაიგებენ, იქნებ მიბაძონ კიდეც და მერე ნახეთ, ფეხბურთელებს რა დღე დაადგებათ. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ უეფა უახლოეს მომავალში მატჩზე ორი არბიტრის დანიშვნას გეგმავს. მაშინ კი მოთამაშეებს პირადი მცველის (ან მცველების) დაქირავება მოუწევთ, რომელიც მინდვრის სიახლოვეს დადგება, რათა თავისი კლიენტი მსაჯის (თუ მსაჯების) რისხვისგან იხსნას.

ერთი სიტყვით, სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის წევრებმა ასკროლლის შესახებ ნათქვამი, რა თქმა უნდა, არ დაიჯერეს, თუმცა ის კი აღიარეს, მსაჯმა „ლოკომოტივის“ საწინააღმდეგოდ უხეში შეცდომები დაუშვაო. მათ არც ის დავიწყებიათ, რომ ბალაშვილიც და მიქაძეც პირველად იყვნენ მათ წინაშე ასეთი დარღვევისთვის წარდგენილი, ისიც გაახსენდათ, რომ ბალაშვილი ცოტა ხნის წინ საქართველოს ნაკრების წევრი გახლდათ და იქნებ ეროვნულ გუნდს კიდევ გამოადგეს. ყოველივე ამის გათვალისწინებით ასეთი განაჩენი გამოიტანეს: რადგან გიორგი მიქაძისგან ადგილი ჰქონდა მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობას, მას ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიეცა და 200 ლარით დაჯარიმდა. ხოლო ბალაშვილი, რომელიც არბიტრს ხელით შეეხო, უფრო მკაცრად დაისაჯა — მას ჩემპიონატის ბოლომდე აეკრძალა თამაში და 1000 ლარსაც გადაიხდის.

— ორივე ფეხბურთელს ყველაფრის გათვალისწინებით, მინიმალური სასჯელი გამოვუტანეთ. მართალია, ბალაშვილი მკაცრად დაისაჯა, მაგრამ მოგვიანებით ჩვენ კვლავ ვიმსჯელებთ მასზე და იქნებ შევუმსუბუქოთ კიდეც — ასე დაასრულა კომიტეტის თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილმა ამ ინციდენტის განხილვა.

ამავე მატჩში ხულიგნური საქციელისთვის 1 თამაშითა და 50 ლარით დაისაჯა დინამოელი გიორგი ანჩაბაძე.

მეორე საკითხი ჩემპიონატის მეცამეტე ტურში მომხდარი ფაქტი გახლდათ. გორის „დილა“ სამტრედიაში „იბერიასთან“ სათამაშოდ ნახევარი საათის დაგვიანებით ჩავიდა. სამტრედიელებმა თამაშზე უარი თქვეს და მატჩიც ჩაიშალა. გორელთა ხელმძღვანელობამ დაგვიანების მიზეზად რიკოთის უღელტეხილზე ჩამოწოლილი მეწყერი დაასახელა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით თავიანთი აზრი სხდომაზე მოსულმა „დილას“ წარმომადგენელმა, ივანე თაყაძემ, მატჩის დელეგატმა მევლუდ მიმინოშვილმა და სამტრედიელთა პრეზიდენტმა ნუგზარ ნიკოლეიშვილმა გამოთქვეს. სადისციპლინო კომიტეტმა გაითვალისწინა მათი ნათქვამი და დებულებაზე დაყრდნობით ერთხმად გადაწყვიტა, რომ მატჩი გადათამაშდეს. შეხვედრის ჩატარების დრო კი თქვენ დაადგინეთო, მიმართეს საშეჯიბრო კომიტეტს. მისმა უფროსმა გია ფირცხალავამ ბრძანა, მატჩი ხვალ გაიმართოსო. ნიკოლეიშვილი უკმაყოფილო დარჩა, 28 ნოემბერს ბოლო ტურში „ხობში“ უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის, ამიტომ „დილას“ 25-ის ნაცვლად მომავალ კვირაში შევხვდებითო, თუმცა ფედერაცია წინააღმდეგი წავიდა. საბოლოოდ გადაწყდა, „იბერია“ და „დილა“ დღეს სამტრედიაში 15 საათზე შეხვდებიან.

მესამე საკითხად რეგიონალური ლიგის დასავლეთში, „ა“ ზონაში „რაჭა“ — „გაგრის“ მატჩი იყო. „დილას“ მსგავსად „გაგრამაც“ დააგვიანა თამაშზე, თუმც მიზეზი მეტეოროლოგიური პირობები (რაც დებულებით გათვალისწინებულია) არ ყოფილა, გაგრელებს ავტობუსი გაუფუჭდათ. ამ მიზეზით მატჩზე დაგვიანებაზე კი დებულებებით 0:3 წაგებაა გათვალისწინებული. კომიტეტსაც ის იყო, შესაბამისი განაჩენი უნდა გამოეტანა, რომ ბოლო მომენტში სტკ-ს წევრმა გრიგოლ ცაავამ, იკითხა, „რაჭის“ გუნდი მინდორზე თუ გამოვიდაო (მოგეხსენებათ, დებულებით მიხედვით, მეტოქის არგამოცხადების შემთხვევაში მეორე გუნდი მსაჯებთან ერთად მოედანზე უნდა გავიდეს, არბიტრმა მატჩის დაწყების ნიშანი მისცეს და იმწამსვე შეწყვიტოს). როგორც გაირკვა, ეს ფორმალობა „რაჭას“ არ დაუცავს. კლუბის მწვრთნელებს ვუთხარი, ასე მოქცეულიყვნენ, მაგრამ დაიზარესო, აღიარა შეხვედრის დელეგატმა. სტკ-მაც ამ საქმის განხილვა მომავალი სხდომისთვის გადადო, რომელსაც მსაჯები და კლუბის წარმომადგენლებიც დაესწრებიან. ყველაფერი მაშინ გაირკვევა.

ყველაზე მკაცრად კი გუშინ ასპინძის „ვარძიას“ ფეხბურთელი რაზიკ სოლოიანი დაისაჯა. არბიტრ ლევან ფანიაშვილის ცემისთვის მას ერთწლიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს და 1000 ლარითაც შეუთხელეს ჯიბე.

კურიოზული ფაქტი მოხდა ჩხოროწყუში. იქაური კლუბის — „სამეგრელოს“ ხელმძღვანელობამ საგულდაგულოდ შენახული ფეხბურთელთა მონაწილის ბარათები ვერ იპოვა. მატჩი ამის გამო არ შედგა და ქობულეთის „შუქურასაც“ 3:0 მოგება ჩაეთვალა.

ამ დარღვევებთან და სასჯელებთან შედარებით მოსატანიც კი არ არის მინდორზე თანაგუნდელის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის გაძევებული ჭიათურის „მაღაროელის“ წევრ დავით ლოლაძის განაჩენი — 3 თამაშის გამოტოვება და 150 ლარის გადახდა. ანალოგიურად დაისაჯნენ ტყიბულის „მეშახტეს“ ფეხბურთელი გოჩა კაკაია და ქუთაისის „რწმენას“ წევრი კახა დიდავა. კიდევ ერთი ტყიბულელი ზურაბ კალატოზი, ისევე როგორც ლანჩხუთელი დავით სულაქველიძე, ორ თამაშში ვერ დაეხმარება თავისიანებს და 100 ლარსაც გაიღებს.

დაბოლოს, „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩისას მომხდარი ინციდენტიდან გამომდინარე მიმართვა ქართველ მსაჯებს: მსაჯებო, ნუ მიბაძავთ გურამ ასკაროლლის, ნუ მიაყენებთ ფეხბურთელებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. შეუმცდარნი ხომ თქვენს მსგავსად არც ისინი არიან!..

ვანო ოქროპირიძე



ბადრი ქათილაშვილის ფოტო

ვინ ვის სცემს, ფეხბურთელები მსაჯს თუ მსაჯი ფეხბურთელებს...

# ლევან სილაგაძე: ვითამაშებ იქ, სადაც შუქი და წყალია



SPORTA AVIZE

*ახლახან დასრულებულ ლატვიის ჩემპიონატში პირველობა, ბუნებრივია, რიგის „სკონტომ" მოიპოვა. ამაში უჩვეულო არაფერია, „სკონტო", ქართული „დინამოსი" არ იყოს, თავისი ქვეყნის მუდმივი ჩემპიონია. სასიხარულო ჩვენთვის ის არის, რომ ხუთმა ქართველმა ფეხბურთელმა ლატვიის ჩემპიონობა მოიპოვა. ლევან კორღალიძემ და ზურაბ მენთეშაშვილმა პირველად დააჭაშნიკეს უცხო ქვეყნის ჩემპიონობის გემო, ლევან სილაგაძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი და დავით ჩალაძე კი სტაჟიანი ჩემპიონები არიან. მომავალი წლიდან „სკონტოს" ქართველობა შეუთხელდება. „გადავწყვიტე, „სკონტოს" ტკბილად დავშორდე. კონტრაქტი დამიმთავრდა და დროა, სხვაგან ვეძებო ბედი" — გვითხრა შინ დაბრუნებულმა ლევან სილაგაძემ. ლევანი რუსთავშია, მშობლიურ ქალაქში, რუსთავი კი რიგა არაა...*

— ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, ისეთ ქვეყანაში და ქალაქში წავალ სათამაშოდ, სადაც შუქი და წყალია.

**— „სკონტოს" დატოვება უკვე გადაწყვიტე?**

— ამ კლუბზე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ბოლოს და ბოლოს „სკონტოში" ჩამოვყალიბდი ფეხბურთელად და სწორედ აქედან მოვხვდი საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც, მაგრამ, მგონი, ამ კლუბის წინაშე ჩემი ვალი პირნათლად მოვიხადე. სამი წელი არ არის ცოტა ფეხბურთელისთვის, დროა, უფრო მაღალი მიზნებისთვისაც ვიბრძოლო. კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი, სამწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა ხელსაყრელი პირობებით, მაგრამ უარი ვთქვი. მოკლედ, ლატვიიდან წასვლა გადავწყვიტე.

**— შენი თანაკლუბელებისგან მსმენია, რიგას საოცრად შეეწყო და სხვაგან გახედვაც არ უნდაო...**

— რიგა მართლაც დიდებულია. ამ ლამაზ ქალაქში თავისებური, ჯადოსნური ატმოსფეროა. მისი ნოსტალგია, ალბათ, კარგა ხანს გამყვება, მაგრამ ფეხბურთელის ხვედრი ხომ ასეთია, ბარგი ყოველთვის ჩალაგებული უნდა ჰქონდეს, მეც რა გზა მაქვს, როგორმე შევეჩვევი...

**— თამაშს სად აპირებ?**

— გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, რადგან ჯერჯერობით ეს მეც არ ვიცი. ტრანსფერზე „სკონტოს" მენეჯერი მუშაობს და ვნახოთ, რა გამოუვა.

**— ამას წინათ ითქვა, სილაგაძით „გალათასარაიი" დაინტერესებულიო.**

— ამაზე თავად კლუბის მენეჯერი გველაპარაკა მე და რეხვიაშვილს, თურქებს დიდი სურვილი ჰქონდათ, იქ გადავსულიყავით და საქმეც იქამდე მივიდა, სტამბულში უნდა ჩავსულიყავით, მაგრამ შემდეგ თავად ჩვენმა მენეჯერმა გვითხრა, რომ „გალათასარაიდან" აღარ დაგვკავშირებიანო და ყველაფერი ამით მორჩა.

**— მანამდე კი „ზენიტიც" გიწვევდა.**

— სანკტპეტერბურგელები მართლაც რეალურ პირობებს მთავაზობდნენ. მაშინ, რუსეთის ჩემპიონატის II წრის წინ „ზენიტს" სერიოზული პრობლემები ჰქონდა დაცვაში და, ალბათ, გადავიდოდი კიდეც, რომ არა რევაზ ძოძუაშვილის ზარი. როგორც იცით, იმ პერიოდში ბატონი რევაზი საუდის არაბეთში იყო სამუშაოდ და მთხოვა, მის ახალ კლუბში გადავსულიყავი. ძოძუაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ჩემზე, მასთან მუშაობა ყოველთვის მხიბლავდა და უარი ვერ ვუთხარი.

**— საუდის არაბეთში წასვლაში რაღამ შეგიშალა ხელი?**

— ისევ ძოძუაშვილის ზარმა. ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და უცებ მიხეილმა დამირეკა, არ ღირს, ნუ ჩამოხვალ, მეც წამოსვლას ვაპირებო. სხვა რა გზა მქონდა, ისევ „სკონტოში" დავრჩი.

**— ლატვიიდან ძოძუაშვილის წასვლამ ქართველ სკონტოელებზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედა?**

— არა, პირიქით, უფრო დიდი სითბოთი გვეპყრობოდნენ. ლატვიაში იმხელა სახელი აქვს ძოძუაშვილს, რომ სადაც არ უნდა იყოს, მის შეგირდებს არაფერს გაუჭირვებენ. თვითონაც ამბობენ ლატვიელები, რა გვეშველებოდა, ძოძუაშვილი რომ არ გვყოლოდაო. მიხეილ მართლაც ჩინებული სპეციალისტია, უდიდესი ტაქტიკოსი... საბერძნეთის ნაკრებთან გასვლითი მატჩის წინ კინაღამ სკანდალი აგორდა ლატვიაში. ძოძუაშვილმა შტოლცერსი და მიხოლაპსი, ორი დიდი ავტორიტეტი ლატვიურ ფეხბურთში, არ დააყენა ძირითად შემადგენლობაში, სამაგიეროდ, იხმო ახალგაზრდა ბიჭი, ვერპაკოვსკისი. მისი გვარი მანამდე ბევრმა არ იცოდა ლატვიაში. უცნობი რიგითი ფეხბურთელი იყო და თავისი კლუბის სასტარტო შემადგენლობაშიც ვერ ხვდებოდა. მიხეილმ კი თვალი დაადგა, ჯერ ოლიმპიურ ნაკრებში გამოიძახა და უცებ ეროვნულ გუნდში სასტარტო შემადგენლობაში დააყენა. ბერძნებთან მატჩის წინ ამის გამო მთელი გუნდი შოკში იყო, მაგრამ ამ ბიჭმა დიდებულად ითამაშა, ბერძნებს გოლიც გაუტანა და ძოძუაშვილმა იგი მთელ ლატვიას გააცნო.

**— ლევან, „სკონტომ" წლეულსაც არ შეირცხვინა თავი ევროპულ სარბიელზე...**

— „რაპიდის" ძლევას დიდი რეზონანსი მოჰყვა ლატვიაში. კარგი გუნდი იყო, რაღაცნაირად მოსკოვის „სპარტაკს" მაგონებდა და პრინციპში ამ გუნდის ძლევით ჩვენ უკვე შევასრულეთ პროგრამა-მინიმუმი...

**— შემდეგ კი იყო „ჩელსი".**

— დაუვიწყარი ორრაუნდიანი ბრძოლა. ინგლისში საუცხოო ატმოსფეროა და იქ ნებისმიერ რანგზე თამაში დიდი პატივია ფეხბურთელისთვის. „ჩელსისთან" ურიგოდ არ გამოვიყურებოდით, ჩვენ ხომ პირველ ნახევარშივე ათი კაცით დავრჩით. 75-ე წუთამდე 0:0 იყო, მაგრამ ამ დროისთვის უკვე გაძლებაზე ვიყავით და მოსახდენი მოხდა, დიდი ანგარიშით დავმარცხდით. განმეორებით შეხვედრაში კი ბევრმა, არცთუ უსაფუძვლოდ, დიდ მიღწევად ჩაგვითვალა 0:0 ინგლისური ფეხბურთის გრანდთან.

**— უეფას თასზე კი „ვიძევი" — „სკონტოს" წყვილში ბევრი ლატვიელებს მიიჩნევდა ფავორიტად.**

— პოლონელებთან მართლაც უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით, განსაკუთრებით პირველ შეხვედრაში, შინ, მინიმუმ 3:0 მაინც უნდა მოგვეგო, მაგრამ არაერთი ხელსაყრელი მომენტი გავაცუდეთ, საბოლოოდ 1:0-ს დავჯერდით. მატჩის შემდეგ „ვიძევის" მთავარი მწვრთნელი კმაყოფილებას ვერ ფარავდა, განმეორებით შეხვედრაში კი დიდი სიურპრიზი მოგვიმზადა მეტოქემ: „ვიძევი" საოცრად შეცვლილი და მობილიზებული იყო. პირადად მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს რომელიღაც ევროპული გრანდი თამაშობდა ჩვენს წინააღმდეგ. ყველაფერი გამოსდიოდათ პოლონელებს, აკი პირველივე წუთზე გაგვიტანეს გოლი, ტაიმის ბოლოს პირველს მეორეც მიაყოლეს და მეორე ნახევარში ვა-ბანკზე წავედით, რადგან ერთი გოლის გატანაც გვაძლევდა ხელს. თამაში გაიხსნა და მეტოქეს აქედან მოყოლებული, კიდევ სამი-ოთხი გოლის გატანაც შეეძლო.

**— ამას წინათ, თბილისში სტუმრობისას, „სკონტოს" მენეჯერმა გენადი კარავაევმა ხაზი გაუსვა „სკონტოს" და საერთოდ ლატვიური ფეხბურთის პროგრესს...**

— ბალტიისპირელები მართლაც შესაშური ტემპით მიიწევენ წინ. ჩემპიონატის დონემაც აიწია. ადრე თუ 6-7 ტურით ადრე ვინაღდებდით პირველობას, წლეულს დიდი ბრძოლა გადაგვხდა „ლიეპაიასთან" და მხოლოდ ორი ტურით ადრე თანაბარქულიან კონკურენტთან შეხვედრაში გამარჯვებით გავხდით ჩემპიონები. საგრძნობლად გაძლიერდა „რიგაც", რომელსაც სხვათა შორის რევაზ ძოძუაშვილთან თანამშრომლობაც სურს და რამდენიმე უცხოელ ფეხბურთელსაც დაიმატებს. ამ კლუბის პრეზიდენტმა თავად მითხრა ამის შესახებ, რიგიდან მოსკოვში მგზავრობისას. დიდ ყურადღებას უთმობენ ლატვიაში ბავშვთა ფეხბურთს და მოედნების გაშენება-გაწყობას. თანაც ბალტიისპირელები მშვენივრად ითვალისწინებენ საფეხბურთო ქვეყნების გამოცდილებებს და, რაც მთავარია, ფეხბურთში ფულის დაბანდებასაც არ ერიდებიან, რადგან იციან, რომ შესაშურ, პერსპექტიულ და სასარგებლო საქმეს აკეთებენ.

**— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თავის პირველ და უკანასკნელ გამარჯვებას საქართველოს ნაკრებმა ალბანელებთან საშინაო მატჩში მიაღწია. იმ შეხვედრის შემდეგ კი ნაკრებში აღარ გამოჩენილხარ...**

— ყველაფერი მართლაც ცუდად აეწყო ჩემთვისაც და ეროვნული ნაკრებისთვისაც. ალბანელებთან მატჩში, გეხსომებათ, მძიმე ტრავმა მივიღე. სამი თვე ფეხი მტკიოდა, ორი თვე კი აღდგენით პროცესს დასჭირდა. ამ მიზეზით ვერ ვითამაშე გასული წლის ორი დარჩენილი თამაში ლატვიელებთან და ბერძნებთან, შემდეგ კი, ალბათ, მწვრთნელებს აღარ დავჭირდი. არადა, საოცრად მტკივა გული, მესმის, რომ ბოსკამპი არ მიცნობდა, მაგრამ ვინმეს ხომ უნდა ეთქვა მისთვის, აგერ, ლატვიაში ქართველები არიან, „ბარსელონასა" და „ჩელსის" ტოლ-სწორად ეთამაშებიან და იქნებ გენახათო. ბოლოს და ბოლოს, ახალი კაციც ხომ არ ვიყავი ნაკრებისთვის, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რაც იყო, იყო, ღვთის მადლით, ჯანზე ვარ და ჯერაც დიდხანს ვაპირებ თამაშს. მიზანი კი ისევ ძველებური მაქვს — საქართველოს ნაკრებში თამაში.

**ბაატა ქვანტალიანი**

## რეგიონალური ლიგა

### დასავლეთი

#### „ა" ზონა

XI ტური

19 ნოემბერი

**რაჭა — გაგრა**

*„გაგრა" დაგვიანებით ჩავიდა*

**მეშახტე 1:0 რწმენა**

1:0 გაბრიჭიძე (87)
გაფრთხილება: მუშკუდიანი (რწმენა)
გაძევება: კალატოზი (6), კანკია (83, მეშახტე), დიდავა (83, მაღაროელი)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**მაღაროელი 0:0 მარგვეთი**

გაფრთხილება: რობაქიძე, ლონლაძე (მარგვეთი)
გაძევება: ლოლაძე (75, მაღაროელი)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

20 ნოემბერი

**მეტალურგი 3:2 გურია**

1:0 ქურციკიძე (10), 1:1 ფაცურია (34), 1:2 გეგიძე (54), 2:2 აჭარაძე (65), 3:2 გოგაძე (87)
გაფრთხილება: სულაქველიძე (გურია)
გაძევება: სულაქველიძე (65)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

21 ნოემბერი

**იბერია 2 3:0 სულორი**

1:0 მეტრეველი (34), 2:0 ოდიკაძე (65), 3:0 ონიანი (84)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**ინტერი 0:0 ოკეანე**

გაფრთხილება: ჯიქია, ნუცუბიძე (ოკეანე), გოგოლაძე (ინტერი)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 11 | 9 | 2 | 0 | 32:6 | 29 |
| ოკეანე | 11 | 6 | 2 | 3 | 21:11 | 20 |
| მეტალურგი | 11 | 5 | 3 | 3 | 18:15 | 18 |
| ინტერი | 11 | 4 | 5 | 2 | 14:9 | 17 |
| იბერია 2 | 11 | 4 | 5 | 2 | 15:11 | 17 |
| გაგრა | 10 | 3 | 5 | 2 | 18:16 | 14 |
| სულორი | 11 | 3 | 5 | 3 | 13:19 | 14 |
| მაღაროელი | 11 | 2 | 4 | 5 | 16:19 | 10 |
| რწმენა | 11 | 2 | 4 | 5 | 7:15 | 10 |
| მეშახტე | 11 | 2 | 3 | 6 | 13:28 | 9 |
| რაჭა | 10 | 1 | 5 | 4 | 7:13 | 8 |
| გურია | 11 | 2 | 1 | 8 | 8:20 | 7 |

### დასავლეთი

#### „ბ" ზონა

XI ტური

19 ნოემბერი

**ლაზიკა 0:1 მეგრი**

0:1 იოსავა (67)
გაფრთხილება: ლურწკაია, ჯაბუა (მეგრი)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

**სქური 2:0 მერცხალი**

1:0 როგავა (10), 2:0 ჯოლოხავა (53)
გაფრთხილება: აბაშიძე, ღლონტი (მერცხალი)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**ჩელა 1:1 ბათუმი 2**

**ბახმარო — ფაზისი**

*ჩატარდება 27 ნოემბერს*

**სამეგრელო 3:0 შუქურა**

*შუქურას ჩაეთვალა წაგება*

20 ნოემბერი

**კოლხეთი 2 1:0 ზუგდიდი**

1:0 კრასოვსკი (71)
გაფრთხილება: ჯურხანძე, ბერულავა (ზუგდიდი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 11 | 8 | 2 | 1 | 33:14 | 26 |
| მეგრი | 11 | 8 | 1 | 2 | 16:9 | 25 |
| კოლხეთი 2 | 11 | 6 | 3 | 2 | 14:12 | 21 |
| ზუგდიდი | 11 | 6 | 2 | 3 | 30:13 | 20 |
| ლაზიკა | 11 | 6 | 2 | 3 | 21:12 | 20 |
| სამეგრელო | 11 | 4 | 3 | 4 | 19:14 | 15 |
| ფაზისი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:17 | 15 |
| სქური | 11 | 4 | 1 | 6 | 18:22 | 13 |
| ბათუმი 2 | 11 | 1 | 6 | 4 | 13:18 | 9 |
| მერცხალი | 11 | 1 | 4 | 6 | 7:14 | 7 |
| ჩელა | 11 | 1 | 2 | 8 | 10:31 | 5 |
| ბახმარო | 10 | 1 | 1 | 8 | 9:25 | 4 |

### აღმოსავლეთი

#### „ა" ზონა

XI ტური

19 ნოემბერი

**განთიადი 0:2 თორი**

0:1 ვარდიაშვილი (14), 0:2 გლუნჩაძე (65)
გაფრთხილება: ვარდიაშვილი (თორი)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**მესხეთი 2:2 ცხუმი**

1:0 გოგოლაძე (27), 2:0 სიდამონიძე (33), 2:1 კაკაბაძე (36), 2:2 რცხილაძე (68)
გაფრთხილება: მარღანია, ნიქარიშვილი (მესხეთი), რცხილაძე (ცხუმი)
მსაჯი: ლ.რაზმაძე (გორი)

**იბერია 3:2 ივერია**

0:1 ხმალაძე (46), 1:1 ხიდაშელი (54), 2:1 კასრაძე (69), 3:1 ჯულელი (88), 3:2 ხმალაძე (89)
გაფრთხილება: ბაბულაიძე, ხმალაძე (ივერია)

**ვარძია 0:1 ცხინვალი**

0:1 მოსიაშვილი (85)
გაფრთხილება: ეჯოშვილი, მოსიაშვილი (ცხინვალი), სოლოიანი (ვარძია)
გაძევება: სოლოიანი (87)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**არაგვი 4:3 მრეტები**

1:0, 2:0, 3:0 ი. ქეთელაური (1, 47პ, 56), 3:1, 3:2 ჩახვაძე (60, 66), 3:3 გურგენიძე (84), 4:3 მოსიაშვილი (89)
გაფრთხილება: ქებაძე (მრეტები)
მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 10 | 8 | 2 | 0 | 16:2 | 26 |
| თორი | 10 | 7 | 1 | 2 | 19:6 | 22 |
| განთიადი | 10 | 7 | 1 | 2 | 21:10 | 22 |
| ივერია | 10 | 6 | 0 | 4 | 26:14 | 18 |
| ცხუმი | 10 | 4 | 2 | 4 | 18:13 | 14 |
| იბერია | 10 | 4 | 1 | 5 | 15:15 | 13 |
| ვარძია | 10 | 3 | 1 | 6 | 8:21 | 10 |
| საუ | 10 | 3 | 1 | 6 | 11:28 | 10 |
| მესხეთი | 10 | 2 | 4 | 4 | 13:23 | 10 |
| მრეტები | 10 | 1 | 4 | 5 | 9:18 | 7 |
| არაგვი | 10 | 1 | 1 | 8 | 12:28 | 4 |

#### „ბ" ზონა

XI ტური

20 ნოემბერი

**ზოოვეტი 4:3 ყვარელი**

1:0 შედანია (17), 2:0 შელეგია (28), 3:0 გუგუშვილი (35), 3:1, 3:2 მიქაბერიძე (50, 55), 4:2 შედანია (76), 4:3 ბოდორიშვილი (85)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (რუსთავი)

21 ნოემბერი

**აკადემია 2:0 ხალიბი**

1:0, 2:0 ბაბუნაშვილი (33, 47)
გაფრთხილება: მჭედლიშვილი, კირვალიძე (აკადემია), წიკლაური (ხალიბი)
მსაჯი: ნ. კილაძე (თბილისი)

**თბილისი 2 0:1 ჭაბუკიანი**

0:1 პაქსაშვილი (43)
გაფრთხილება: სახურია (თბილისი 2)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

**არსენალი 2 1:4 ლოკომოტივი 2**

0:1 მორჩილაძე (1), 0:2 ჯანელიძე (5), 1:2 ჩალაძე (36), 1:3 ჯანელიძე (76), 1:4 მორჩილაძე (86)
გაფრთხილება: სოსელია, შავშიშვილი (ლოკომოტივი 2), გოლეთიანი, გოგიჩაიშვილი (არსენალი 2)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**ამირანი 3:1 ალაზანი**

1:0 ჭალიაშვილი (25პ), 2:0 ჩილვინაძე (34), 2:1 ვარამაშვილი (65), 3:1 ჩილვინაძე (80)
*კობაიძემ ვერ გაიტანა პენალტი (55, ალაზანი)*
გაფრთხილება: ჭალიაშვილი, ჩილვინაძე (ამირანი), გუდურაშვილი (ალაზანი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 10 | 8 | 1 | 1 | 25:10 | 25 |
| ჭაბუკიანი | 10 | 7 | 0 | 3 | 17:7 | 21 |
| არსენალი 2 | 10 | 6 | 2 | 2 | 24:13 | 20 |
| ზოოვეტი | 10 | 6 | 2 | 2 | 25:15 | 20 |
| ამირანი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:18 | 17 |
| ალაზანი | 10 | 5 | 1 | 4 | 19:16 | 16 |
| ხალიბი | 10 | 3 | 2 | 5 | 9:17 | 11 |
| აკადემია | 10 | 2 | 3 | 5 | 6:9 | 9 |
| ყვარელი | 10 | 2 | 1 | 7 | 12:23 | 7 |
| სამგორი | 10 | 2 | 0 | 8 | 14:31 | 6 |
| თბილისი 2 | 10 | 1 | 2 | 7 | 10:20 | 5 |

# არჩილს ვეღარ აჩერებენ

ბასული კვირის საუკეთესო ლეგიონერი უდავოდ არჩილ არველაძე გახლდათ. შოთას ტყუპისცალმა ლომის წილი დაიდო „ჰაარლემის" 6:1 დაქცევაში და პირველად სეზონში ჰეთ თრიქი შეასრულა. არველაძეს ახლა 10 გოლი აქვს „ბრედას" თანაბომბარდირია სალმანთან ერთად, დივიზიონის ბომბარდირების დავაში კი მე-3 ადგილზე აინაცვლა. თავად „ბრედა" ამ გამარჯვებამ მეორე ადგილზე ალაზევა და იგი ჰოლანდიის მთავარ ლიგაში დაბრუნების რეალური კანდიდატი შეიქმნა. თუმცა არ არის გამორიცხული, პირველი წრის მერე არჩილი უფრო სახელოვან კლუბში აღმოჩნდეს (ასახელებენ ბელგიის „ანდერლეხტს"). მისი თამაში ამის საფუძველს უკვე იძლევა.

უკრაინული საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანის რიგებში მორიგი გამარჯვება იზეიმა დღეისთვის საუკეთესო ქართველმა ფეხბურთელმა კახა კალაძემ. კიევის „დინამოს", როგორც წესი, კვლავ გაუჭირდა მასზე დაბალი რანგის უკრაინული გუნდის დამარცხება, თუმცა ცენტრში კახას აქტიურობის ხარჯზე მაინც დაძლია ზაპოროჟიეს „მეტალურგის" წინააღმდეგობა. ეს გადადებული მატჩი იყო, ამიტომაც სხვა უკრაინელი ქართველების კლუბებს გასულ კვირას არ უთამაშიათ.

ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ინგლისის ჩემპიონატსა და ჯორდებს დაუბრუნდა თემურ ქეცბაია. ბობი რობსონი „უოტფორდთან" ქართველის მინდორზე გაყვანას არ აპირებდა, მაგრამ მატჩის დასაწყისშივე გალაჰერი დაემტვრა და ქეცბასაც შანსი მიეცა. ვეტერანმა ქართველმა ვარსკვლავმა შანსი გამოიყენა. მისი პასით შირერს უოტფორდის კარში გამარჯვების გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ვერ ივარგა.

გიორგი გახოკიძე 75 წუთი ებრძოდა თანაქალაქელ „ჰაპოელს". საბოლოოდ „მაკაბიმ" 3:2 იმარჯვა და ისრაელში ლიდერობა შეინარჩუნა. გელა შეყილაძე „ლიერსის" რიგებში 77-ე წუთზე გამოჩნდა, როცა გუნდი 2:0-ს იგებდა. შეყილაძემ აშკარად გააძლიერა მეუვსის გუნდი, რომელმაც ქართველის შესვლის შემდეგ კიდევ ორი გოლი გაიტანა. „ლიერსი" მეორეა ბელგიაში და 5 ქულით ჩამორჩება „ანდერლეხტს".

შვეიცარიაში „ლუგანოს" ძლევით ფინალურ ეტაპზე (საუკეთესო რვა გუნდში) გასვლის შანსი შაინარჩუნა „ციურიხმა". ჯამარაული კვლავ აქტიური იყო, ყაველაშვილი ისევ ისვენებდა.

ჰოლანდიის მთავარ ლიგაში თითქმის ორი თვით გამოგვაკლდა შოთა არველაძე. მან ოპერაცია გაიკეთა.

გერმანიაში კი ძალიან ცუდი დღე გაუთენდა „ფრაიბურგს". ქართველების გუნდი ბუნდესლიგის ლიდერმა „ბაიერნმა" მეტად დაიბრიყვა. ფოლკენ ფინკეს ბიჭებმა 1:6 წააგეს. მათ შორის ქართველი მხოლოდ ერთი — ლევან კობიაშვილი იყო, რომელიც „კიკერმა" თავის კლუბში საუკეთესოდ მიიჩნია და „სამიანიც" დაუწერა.

**სიმონ მენაბდე**

| სახელი გვარი | კლუბი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | ს | უოტფორდი 1:1 | 82 | შეცვლაზე ითამაშა |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | მანჩესტერი 1:2 | 0 | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| კახი ცხადაძე | მანჩესტერ სიტი | ს | ჩარლტონი 1:0 | 0 | ტრავმა |
| **გერმანია** | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ბაიერნი 1:6 | 0 | ტრავმა |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ბაიერნი 1:6 | 90 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ბაიერნი 1:6 | 0 | ტრავმა |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | |
| რევაზ არველაძე | ობერჰაუზენი | ს | ნიუნბერგი 1:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| **ჰოლანდია** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | უტრეხტი 2:0 | 0 | ტრავმა |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | შ | ჰაარლემი 6:1 | 90 | 3 გოლი |
| **ბელგია** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ლომელი 4:0 | 13 | შეცვლაზე ითამაშა |
| ლაშა ჯაკობია | სტანდარდი | შ | ბეერსხოტი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| **შვეიცარია** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | ლუგანო 2:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | ლუგანო 2:1 | 90 | ერთი საგოლე პასი |
| **უკრაინა** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | შ | მეტალურგი 2:0 | 90 | |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | | | | ტური გამოტოვა |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | | | | ტური გამოტოვა |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | | | | ტური გამოტოვა |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | ნივა | | | | ტური გამოტოვა |
| კახა დგებუაძე | ნივა | | | | ტური გამოტოვა |
| ალექსანდრე გვიანიძე | ნივა | | | | ტური გამოტოვა |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | | | | ტური გამოტოვა |
| მიხეილ ფოცხვერია | შახტარი | | | | ტური გამოტოვა |
| **თურქეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გიორგი კიკნაძე | სამსუნსფორი | შ | ბურსასფორი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| ვალტერ გუჩუა | ისტანბულსფორი | ს | ვანსფორი 1:1 | 0 | ახალწვეულია |
| **საბერძნეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | შ | აპოლონი 1:2 | 90 | |
| **ისრაელი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰაპოელი (ქვარ სავა) | ს | ჰაპოელი(ფთ) 1:3 | 90 | |
| გიორგი გახოკიძე | მაკაბი (ჰაიფა) | ს | ჰაპოელი(ჰ) 3:2 | 75 | შეცვალეს |
| **პოლონეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | | | | ტური არ გამართულა |



სარბიელის არქივიდან

თემურ ქეცბაია ევროსარბიელს უბრუნდება

# თემურ ქეცბაია რომასთან ითამაშებს

დღეს „სენ ჯეიმს პარკზე" უეფას თასის მეთექვსმეტედფინალურ მატჩში „ნიუკასლსა და იტალიურ „რომას" შორის თემურ ქეცბაიასაც ვიხილავთ. გუშინ ჯორდების მწვრთნელმა ბობი რობსონმა ქართველი შეიყვანა იმ 20 კაცში, რომლებიც მატჩისთვის მოემზადებიან.

რობსონი აკვირდება ჰარპერს, კარელსეს, გივენს, ჰიუზს, მარსელინოს, პისტონეს, დაბიზასს, კალდუელს, ბარტონს, სერანტს, შარვეს, გალასს, ლის, მაკლინს, სოლანოს, სპიდს, მარიჩს, შირერს და რობინსონს.

რობსონი დღეს დილით ამათგან შეარჩევს 16 კაცს, რომლებიც განაცხადში იქნებიან. მედია ვარაუდობს, რომ მათ შორის იქნება ქეცბაიაც. იგი გასულ კვირას „უოტფორდთან" შეხვედრისას გამოჩნდა თითქმის 2-თვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ.

**სიმონ მენაბდე**

# სტანდარდს ჯაკობია დასჭირდა

შაბათის „სარბიელში" გაუწყეთ, რომ ლაშა ჯაკობიამ ბელგიური „სტანდარდის" ძირითად შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა.

როგორც იცით, ლაშამ დაბალ ლიგაში მოასპარეზე „ბარვოს" კარი დალაშქრა და თანაგუნდელებს 2:1 გაამარჯვებინა. ჯაკობიას თამაშით მწვრთნელი ძლიერ კმაყოფილი დარჩენილა და ჩვენებურისთვის უთქვამს, მართალია, მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი, 6 თვით რომელიმე გუნდში გაგვენათხოვრებინე, მაგრამ ახლა ამის აუცილებლობას ვერ ვხედავთ, შენ „სტანდარდს" სჭირდებიო.

სწორედ ეს გვითხრა გუშინ ჯაკობიამ, როცა ბელგიაში დავუკავშირდით. მისი განათხოვრების საქმე ხომ დღე-დღეზე უნდა გადაწყვეტილიყო. ლაშას ფრანგული და ესპანური გუნდები იწვევდნენ.

რაკი „სტანდარდის" ხელმძღვანელობამ ჯაკობიას დატოვება ისურვა, იმედია, ძირითადის მაისურასაც ხშირად მოარგებს, დანარჩენი კი თავად ფეხბურთელზე იყოს.

**ხვიჩა სანიკიძე**

# გოგობერიშვილი საემიროებში ემზადება

ალექსანდრე გოგობერიშვილი, რომლის მახაჩკალის „ანჟიმ" სენსაცია მოახდინა და რუსეთის უმაღლეს დივიზიონში გადავიდა, კლუბთან ერთად ახალი სეზონისთვის გაერთიანებული არაბეთის ემირატებში ემზადება.

„ანჟი" ემირატებში ორ კვირას დაჰყოფს. ეს შეკრება მთლიანად კლუბის გენერალურმა სპონსორმა, მოსკოვის „ინტელექტბანკმა" დააფინანსა. ბევრი ფეხბურთელი ემირატებში მეუღლესთან ერთად გაემგზავრა ისინი ვარჯიშთან ერთად დაისვენებენ კიდეც.

როგორც „ანჟის" სასწაულის შემოქმედმა გაჯი გაჯიევმა განაცხადა, კლუბი აპირებს, შეინარჩუნოს შარშანდელი შემადგელობა და ასევე ყველა რგოლში თითო ახალი ფეხბურთელი დაიმატოს.

პრეტენდენტებს თავად გაჯიევი აკვირდება.

მისივე თქმით, ჯერჯერობით გაურკვეველია „ანჟის" სამი ფეხბურთელის ბედი. მოსალოდნელია, მათ კლუბი დატოვონ, თუმც ამ ეტაპზე მათი ვინაობას არ ამხელს.

გოგობერიშვილს მახაჩკალურ კლუბთან კონტრაქტი რამდენიმე თვეში უმთავრდება.

**სიმონ მენაბდე**



ალექსანდრე გოგობერიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი 13 ტური

# ვასწავლოთ მსაჯებს კარატე

უფალო ჩაიტანია და სვამო ბრაჰმჰუპადა, კრიშნაიზმის წმინდა საფუძვლებსა და ყველა სანკრისტულ ლოცვას გაფიცებთ, თქვენ შეეწიეთ ქართულ ფეხბურთს. თქვენ მოუნგრიეთ ფეხი ქართველ მეკარეთა კარის დალაშქვრის მოსურნე უცხოელ თავდამსხმელებს, ხოლო მათი მეკარეები ისე დააელმეთ და დააბრუციანეთ, რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარე ვიაჩესლავ კოლოსკოვი რომის წმინდა პაპში არეოდეთ, ხოლო ბურთს ჭიანი ვაშლიდან ვერ არჩევდნენ...

რახან მაგიური რიტუალი მოვისტუმრეთ, ახლა იმ მატჩებზეც ვთქვათ ერთი-ორი, რომლებიც 19 და 20 ნოემბერს გაიმართა ქართულ მინდვრებზე.

საბოლოოდ აიწყვიტა მარადმა ჩემპიონმა და კარის ბადეები დაუგლიჯა წყალტუბოს „სამგურალს". წიტაიშვილის მიერ მეათე წუთზე დაწყებული საქმე მანვე დააბოლოვა 88-ზე და იმერელთა მეკარე ბოდოკიას კარში ერთბაშად შვიდი გოლი გავიდა. აშვეთია — წიტაიშვილი — ალექსიძის ქართული საზომებით სუპერტრიომ კვლავ გამოიჩინა თავი და ამჯერად ხუთი გოლით დაამწუხრა მეტოქე. ისევ ახალგაზრდა ძოძუაშვილმა ივაჟკაცა და ერთადერთი ბურთით ნამუსი მოწმინდა თავის გუნდს, თორემ 7:0...

რომელი პაოკ-ი „დინამოა", 7:0-ებით სძლიოს ქართველ კლუბებს.

ამათგან განსხვავებით, ბურთიბურთ მიდიოდა ანგარიში მცხეთურ „არმაზზე" თსუ-სა და ფოთის „კოლხეთს" შორის. მეოთხმოცე წუთამდე იგებდნენ ფოთელები, მაგრამ ბოლო ათ წუთში ადამია და ნინუა გაეპარათ თითოჯერ და მასპინძლებმაც 3:2 მოიგეს. ეს უაღრესად საჭირო მოგება გახლდათ სტუდენტთათვის. საკმარისია, ერთხელაც ითამაშონ და ივაჟკაცონ უნივერსიტეტელებმა და საუკეთესო ოთხეულიც განაღდებული აქვთ.

20 ნოემბერი მამალ-მამალი 4:0-ებით აღინიშნა. სულ სამი შეხვედრა დასრულდა ასეთი ანგარიშით და სამივე „ა" ზონაში. „ბათუმმა" და „ვიტ ჯორჯიამ" მეორე ტაიმში გაუტანეს ოთხ-ოთხი შესაბამისად „სიონსა" და „არსენალს", რკინიგზელებმა კი შეხვედრის დასაწყისშივე მოაბეს თავი „თბილისის" „დაფუნთხაშებას" (მატარებელში გამაგონეს და დანგრევას, მიწასთან გასწორებას ნიშნავს) და მერე ერთთავად მცხეთისკენ ჰქონდათ გულისყური, სადაც „ვიტ ჯორჯია" დაახლოებით ასეთივე მეთოდით უსწორდებოდა არმიელებს.

ორიოდ სიტყვით გამარჯვებულთა მეტოქეებზეც ვიტყვით. ვინაიდან და რადგანაც „დაუგეგმავად" მოხვდა ოთხეულში, „სიონმა" აჭარული ცა ქუდად არ მიიჩნია და მიწა ქალამნად. პირველ ტაიმში კი მიართვა იტალიელ კარნევალეს მისთვის ასე ახლობელი ბუბლიკები (0:0), მაგრამ მეორე ნახევარში თავი აღარ გამოუდია და აფხაზავას მადლიანი თავურით დაწყებული გოლის მადაზე მოსულმა მუჯირმა დაასრულა.

„თბილისმა" და „არსენალმა" კი გაცილებით ნაკლები პრობლემა შეუქმნეს მასპინძლებს. ამით იმის თქმა გვსურს, რომ არც „ლოკომოტივის", არც „ვიტ ჯორჯიის" კართან საგოლე არ შექმნილა.

ისე, სენსაცია არც ამ ტურმა მოისაკლისა. აბა, სხვა რა უნდა ეწოდოს „ტორპედოს" შინაურ ბუბლიკებს „ხობთან"? გუნდი, რომელიც სერიოზულად ფიქრობს ჩემპიონობაზე, სხვა თუ არაფერი, შინ აუტსაიდერთან ქულებს არ უნდა კარგავდეს. ის კი, ხობელთა მეკარეებმა (ერთმაც და მეორემაც) რომ უცნაური ბურთები გამოაძრეს, რომ სტუმრებს აუტირაა, ისიც არ მოუწოდებიათ, ცუდი ნუგეშია. ვინ იცის, როდის დასჭირდეთ ქუთათურებს ის ოთხი ქულა, პირველი წრის დასაწყისში „დილას" და მეორე წრის ბოლოს „ხობის" წინააღმდეგ რომ გაფლანგეს.

ის, რაც „მერანმა" ჩაიდინა, დაახლოებით სპორტული გმირობის ასოციაციას აღძრავს. უპრეზიდენტო, უფულო-უპრემიო გუნდმა თავი გამოიდო, რუსთაველთა ერთს ორი გატანილით უპასუხა და ღირსეულად მოიგო. შედეგი? შედეგად კი ის მიიღო, რომ ოთხეულში მოხვედრის ნორმალური შანსი გაუჩნდა.

ასეა, ზოგჯერ კარგავენ პრეზიდენტს, მაგრამ ინარჩუნებენ შანსს. ეს კი სულაც არ გახლავთ ცუდი ბარტერი.

საქართველო რომ მთაგორიანი ქვეყანაა, ამას განსაკუთრებით რიკოთის უღელტეხილზე ვგრძნობ. ხან მეწყერი ჩამოწვება, ხან ქვა-ღორღი მოიწყობს ზედ სამხედრო გზაზე დროებით ბანაკს, ხანაც თოვლი გადაათეთრებს იქაურობას და ჩნდება მანქანების კოლონები. ამჯერად ფეხბურთს გადასწვდა „რიკოთული არასტაბილურობის" მსახვრალი კლანჭები. გზა ქვა-ღორღმა გადაკეტა და გორის „დილა" კბილებალესილ „სამტრედიას" ველარ ესტუმრა. სადისციპლინო-ტექნიკური კომისიამგადათამაშება ბრძანა. სამტრედიელებს ზედა ოთხეულში სურთ მოხვედრა. ამისთვის კი მთელი რიგი კანონზომიერებები უნდა გადაებას ერთმანეთს — „იბერიამ" ჯერ შინ უნდა სძლიოს „დილას", ხოლო გასვლაზე უნდა მოიგოს ხობში, რუსთავში „გორდამ" თსუ-ს არ უნდა გაამარჯვებინოს, „დილა" კი თავადაა დაინტერესებული (უკვე), რათა „მერანს" უკიდურეს შემთხვევაში ფრე მაინც გაუგოროს შინ.

ასეთი ამბები იყო. შვიდ გამართულ თამაშში 28 გოლი გავიდა (4 ბურთი მატჩში — ყოჩაღ!), თექვსმეტი ყვითელი ბარათი ამოიღეს მსაჯებმა და თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი ფეხბურთელიც არ გაუძევებიათ.

სხვა მხრივ კი „ა" ზონამ საქმე მოილია და ახლა „ბ"-ში დაიძაბა სიტუაცია. ჰო-ჰო-ჰო, გაუჭირდებათ მსაჯებს ბოლო, მეთოთხმეტე ტურში. მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, არაერთი უმართავი სიტუაცია შეიძლება ვიხილოთ მინდვრებზე მომდევნო შაბათ-კვირას.

იმის ალსაკვეთად კი, მსაჯებს რომ ასკაროლლივით არ ეტკინოთ და ეწყინოთ, მსაჯებს კარატეს უფასო კურსები გავუხსნათ.

მსაჯობა ხომ იციან და...

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## სიმბოლური ნაკრები

შალვა აფხაზავა — ბათუმი
ლევან ძებაძე — ლოკომოტივი
რატი ალექსიძე — დინამო
გიორგი ნემსაძე — ლოკომოტივი
გიორგი ყიფიანი — ვიტ ჯორჯია
ლევან ბაჯელიძე — მერანი
არჩილ სახვაძე — დინამო
ირაკლი ვაშაკიძე — დინამო
გელა გედენიძე — ხობი
კობა ნინუა — თსუ
გიორგი ბაბუაძე — ხობი

გუნდი: ხობი

მწვრთნელი: ჯანი კარნავალე ბათუმი

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 13 | 10 | 1 | 2 | 35:11 | 24 | 31 | 7 | 6 | 1 | 0 | 24:6 | 18 | 19 | 6 | 4 | 0 | 2 | 11:5 | 6 | 12 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 13 | 6 | 4 | 3 | 19:11 | 8 | 22 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:4 | 10 | 14 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 8 |
| 3 | ბათუმი | 13 | 5 | 7 | 1 | 14:4 | 10 | 22 | 7 | 5 | 2 | 0 | 12:1 | 11 | 17 | 6 | 0 | 5 | 1 | 2:3 | -1 | 5 |
| 4 | სიონი | 13 | 6 | 3 | 4 | 12:16 | -4 | 21 | 6 | 3 | 3 | 0 | 6:2 | 4 | 12 | 7 | 3 | 0 | 4 | 6:14 | -8 | 9 |
| 5 | ლოკომოტივი | 13 | 5 | 2 | 6 | 20:18 | 2 | 17 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 1 | 8 | 7 | 3 | 0 | 4 | 13:12 | 1 | 9 |
| 6 | თბილისი | 13 | 3 | 4 | 6 | 21:30 | -9 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 14:19 | -5 | 10 | 6 | 0 | 3 | 3 | 7:11 | -4 | 3 |
| 7 | არსენალი | 13 | 2 | 3 | 8 | 10:22 | -12 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | -3 | 7 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 2 |
| 8 | სამგურალი | 13 | 2 | 2 | 9 | 8:27 | -19 | 8 | 6 | 2 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 7 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:21 | -16 | 1 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 13 | 11 | 2 | 0 | 33:5 | 28 | 35 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:4 | 14 | 17 | 6 | 6 | 0 | 0 | 15:1 | 14 | 18 |
| 2 | კოლხეთი | 13 | 8 | 0 | 5 | 19:15 | 4 | 24 | 6 | 5 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 15 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 9 |
| 3 | დილა | 12 | 5 | 2 | 5 | 15:20 | -5 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 0 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:12 | -5 | 7 |
| 4 | თსუ | 13 | 4 | 4 | 5 | 12:15 | -3 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 3:6 | -3 | 6 |
| 5 | მერანი | 13 | 3 | 6 | 4 | 12:12 | 0 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | -1 | 6 |
| 6 | გორდა | 13 | 4 | 1 | 8 | 14:17 | -3 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:4 | 6 | 10 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | -9 | 3 |
| 7 | იბერია | 12 | 3 | 3 | 6 | 6:19 | -13 | 12 | 6 | 3 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 10 | 6 | 0 | 2 | 4 | 1:13 | -12 | 2 |
| 8 | ხობი | 13 | 2 | 4 | 7 | 15:23 | -8 | 10 | 6 | 1 | 2 | 3 | 9:10 | -1 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | -7 | 5 |

# «ა» ზონა

თბილისი
19 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
200 (ტევადობა 75 000)

## დინამო 7:1 სამგურალი

1:0 წიტაიშვილი (10), 2:0 აშვეთია (24), 3:0 ალექსიძე (29), 4:0 შენგელია (38), 5:0 ალექსიძე (74), 6:0 ვაშაკიძე (76), 6:1 ძოძუაშვილი (85პ), 7:1 წიტაიშვილი (88)
დინამო: გრიშიკაშვილი (ლომაია 46), ხიზანეიშვილი (პ. ჯინჭარაძე 46), დიდავა, შაშიაშვილი, ვაშაკიძე, ა. სახვაძე, ალექსიძე, სიჭინავა, გ. შენგელია (ს. გიგიაძე 73), აშვეთია, წიტაიშვილი
*სათადარიგონი:* კობიაშვილი,. ღლონტი, ვ. გიგიაძე
სამგურალი: ბოდოკია, ზურაბიანი (სადილიანი 46), ფრანგიშვილი, ჭელიძე, ვოსკანოვი, სუხიაშვილი, ძაგნიძე (ნებიერიძე 76), ჭყონია (ზ.ფხაკაძე 33), ღონლაძე, ი.ხაჭაპურიძე, ძოძუაშვილი
*სათადარიგონი:* ო. ბობოხიძე; კოხრეიძე, გაბლაია
გაფრთხილება: ხაჭაპურიძე (12), ვოსკანოვი (17)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. ბაჩუკაშვილი

მცხეთა
20 ნოემბერი
15 საათი
არმაზი
1 000 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 4:0 არსენალი

1:0 საჯაია (52), 2:0 მაზიაშვილი (57), 3:0 ნოზაძე (71), 4:0 დოლიძე (76)
ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, ჯ. მუჯირი, თოდუა, საჯაია, ჭანკოტაძე, ხართიშვილი, ზ. გვაზავა (დილმელაშვილი 79), გ.ნოზაძე, მაზიაშვილი, ყიფიანი (დ. დოლიძე 65), გ. ქორიძე (კოტორაშვილი 74)
*სათადარიგონი:* ჭურაძე; ბარქაია, რ.გოცირიძე, ა.ბოკერია
არსენალი: ჩლაიძე, ირემაშვილი, ასპინძელაშვილი, ცოტაძე, აბაზაძე, ვ. ღუდუშაური, ხოსროშვილი (გ.სულაძე 66), თარგამაძე (ყუფარაძე 74), ვ. გაგუა, გონჩაროვი, ყოლბაია (კვირკველია 55)
*სათადარიგონი:* კუპატაძე; გ.ჩალაძე, რობაქიძე, არქანია
გაფრთხილება: გაგუა (34), ირემაშვილი (80), ცოტაძე (87)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. მაისურაძე, მ. ურუშაძე; ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

ბათუმი
20 ნოემბერი
15 საათი
დინამო
2 500 (ტევადობა 20 000)

## ბათუმი 4:0 სიონი

1:0, 2:0 აფხაზავა (47, 67), 3:0 მაჭუტაძე (68), 4:0 მუჯირი (70)
ბათუმი: ტოგონიძე, ზ. არჩვაძე (პაპიძე 72), მ. მახარაძე, მინდაძე, შ. ხუჯაძე, ა. მუჯირი, კობიძე, გელა ქორიძე, მაჭუტაძე, რომანაძე (ტულუში 58), აფხაზავა (გადელია 80)
*სათადარიგონი:* ვარშანიძე; ი. მახარაძე, ქაცარავა, თედორაძე
სიონი: ვოლკოვი (დალაქიშვილი 74), ნ. მინდიაშვილი, შაკიაშვილი, სიდამონიძე, დიმიტრიშვილი, სვანიძე, მ. სამხარაძე (ი. კაპანაძე 60), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, სოლოლაშვილი, დათუაძე (დ. ჯაფარიძე 76)
*სათადარიგონი:* დ. გოდერძიშვილი, ყიფშიძე
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე; ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი
20 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
700 (ტევადობა 75 000)

## თბილისი 0:4 ლოკომოტივი

0:1, 0:2 ქებაძე (12, 49), 0:3 რუსია (75), 0:4 ჩომახიძე (81)
თბილისი: ა. ჩიხრაძე, რუხაძე, ზ.ხიზანიშვილი (ი. შენგელია 50), აბრამიძე, ტყებუჩავა, ო. გველესიანი, ქემოკლიძე, ლ. ბურდული, ისიანი (ნორაკიძე 80), ვ. გაგუა, გ. მიქაძე (ლ. მელქაძე 69)
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი
ლოკომოტივი: ასლანაძე, ქობულაძე, ბაქრაძე, ბარნოვი, გ. ჩიხრაძე, ამაშუკელი, კაციაშვილი, ჩომახიძე, ქებაძე (შავგულიძე 76), იაგორაშვილი (ნემსაძე 46), რუსია (გილაური 81)
*სათადარიგონი:* ივარდავა; კ. მელქაძე
გაფრთხილება: ისიანი (23), ქობულაძე (40)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი), ზ. ჯვარაძე (თბილისი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო

# «ბ» ზონა

მცხეთა
19 ნოემბერი
15 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

## თსუ 3:2 კოლხეთი

1:0 ადამია (21), 1:1 შალამბერიძე (44პ), 1:2 ბულუხია (68), 2:2 ადამია (80), 3:2 ნინუა (83)
თსუ: მერლანი, სვანაძე, ნინუა, წუწუნავა (გ.ნოზაძე 89), ადამია, მესხი, გ. გოცირიძე, თ. ბოკერია, გ. გვაზავა (გ. მიქაძე 76), ერაძე, დ.არჩვაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ინწკირველი, ჯობაძე, დ. ხომერიკი
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, შალამბერიძე, დავითნიძე, კედელაშვილი, ტრაპაიძე (მელაძე 80), ხუჭუა (ბულუხია 46), ე. გვასალია, კიკლიაშვილი, ღაღანიძე
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; პაპავა, ჯღარკავა, ჭოხონელიძე, ანჯაფარიძე
გაფრთხილება: ნინუა (12), ხუჭუა (12), სვანაძე (56), ტრაპაიძე (79)
მსაჯები: ა. მეშკოვი; მ. ელიკაშვილი, ვ. ჩოჩიშვილი; ლ. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

ქუთაისი
20 ნოემბერი
15 საათი
ტორპედო
3 000 (ტევადობა 23 800)

## ტორპედო 0:0 ხობი

ტორპედო: ჭანტურია, შეყრილაძე (ახვლედიანი 67), თურმანიძე, ხვადაგიანი, მალლაკელიძე, ჩხეტიანი, კვეტენაძე, გოგიაშვილი (იმედაძე 67), დ. ჯანაშია, მეგრელაძე, იონანიძე
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; მახვილაძე, ვაჩიბერაძე, ამისულაშვილი, მ. ბობოხიძე
ხობი: ბაბუაძე (ნიქაბერიძე 55), გედენიძე, ზ. კვეკვესკირი, ალანია, ზურაბ აიანადი, დ. დანელია, გოგიტაძე, ლ. გვაზავა, ჯამბურია, თორია, ზაზა აიანადი
*სათადარიგონი:* ტყებუჩავა, ლ. ბუკია, ვართაგავა, სანაია, ლატარია, ქაშიბაძე
გაფრთხილება: ზაზა აინადი (5), ნიქაბერიძე (63), თორია (75), ხვადაგიანი (80)
მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

თბილისი
20 ნოემბერი
15 საათი
სინათლე
900 (ტევადობა 3 000)

## მერანი 2:1 გორდა

0:1 კილასონია (58), 1:1, 2:1 ბაჯელიძე (64, 83)
მერანი: ნაჭყეპია, ლ. ამბიძე (თოლორდავა 63), პ. ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი, ხარებავა, ე. ალადაშვილი, ბ. ამბიძე, ჭინჭარაული (კოშკაძე 57), დევიძე, დავითაშვილი (ჩხაიძე 86), ბაჯელიძე
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; კარიაული, ჩანადირი, მელიქია
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბერიძე, ინასარიძე, გაბელაია, ვ. კილასონია, თელიაშვილი, მ. სახვაძე (მიშველიძე 63), ბაჩილავა, კიტეიშვილი, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; ა.ბუკია, ჩიტაური, ბექაური
გაფრთხილება: დევიძე (74)
მსაჯები: ა. მეშკოვი; ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ფირცხალავა

სამტრედია
20 ნოემბერი
15 საათი
ეროსი მანჯგალაძე
(ტევადობა 14 000)

## იბერია — დილა

მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ბ. ბრეგვაძე; ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა)
სფფ-ის დელეგატი: მ. მიმინოშვილი

## ბომბარდირები

12 - აშვეთია — *დინამო*
ალექსიძე — *დინამო*

11 - იონანიძე — *ტორპედო*

8 - ქებაძე — *ლოკომოტივი*

7 - მეგრელაძე — *ტორპედო*
გ. ქორიძე — *ვიტ ჯორჯია*

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. A ჯგუფი

### ჰერტა 1:1 ბარსელონა

0:1 ლუის ენრიკე (14), 1:1 მიხალკე (33)
ჰერტა: კირალი, ვან ბურიკი, კონსტანტინიდისი, სვერისონი, ვოში, დაეი, პრეეცი, შმიდტი, მიხალკე (ჰ. ჰერცოგი 87), ტომი, რემერი (ვეიტი 71)
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, დეუ, გვარდიოლა, რ. დე ბური (სიმაო 69), ფიგუ, კოკუ, კლუივერტი (დანი 71), ლუის ენრიკე, ფ. დე ბური, ზენდენი
მსაჯი: ნ. ლევნიკოვი (რუსეთი)

მთელი ევროპა და განსაკუთრებით გერმანელები მატჩს უდიდესი ინტერესით ელოდნენ. უბრალო საქმე არაა, ნაკლებად ცნობილი ბერლინური კლუბი ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გავიდა და სახელგანთქმულ „ბარსელონას" დაუპირისპირდა. საინტერესო შეხვედრის მოლოდინში ბერლინელმა ქომაგებმა ბილეთები შეიძინეს და სტადიონს მიაშურეს. დანარჩენები ტელევიზორის წინ მოვკალათდით. თამაში შესაძლოა, საინტერესოც იყო, მაგრამ ჩვენ თითქმის არაფერი გვინახავს. ბუნების ძალთა განგებით, მინდორზე ისეთი ნისლი ჩამოწვა, ფეხბურთელები და მსაჯი ინტუიციით დარბოდნენ. რუსმა არბიტრმა ნიკოლაი ლევნიკოვმა მატჩის გადადება იუარა და შეხვედრაც დაიწყო.

როგორც ჩანდა, შექმნილ არასტანდარტულ სიტუაციას „ჰერტა" უფრო სწრაფად მოერგო. მათ რიგებში კვლავ გამოჩნდნენ ანდრეას ტომი და მიხაელ პრეეცი. თუმცა დანაკლისი ორივე გუნდს ჰქონდა. ბერლინელებს დაისლერი აკლდათ, კატალონიელებს — რივალდო. პირველი გოლი მეთოთხმეტე წუთზე გავიდა. ლუიშ ფიგუმ კუთხური ჩამოაწოდა. საჰაერო ბრძოლა პატრიკ კლუივერტმა მოიგო და ბურთი ლუის ენრიკეს მისამართით გადაგზავნა. ესპანელს წინ არავინ ელობებოდა და კართანაც ახლოს იყო. მანაც თავურით გახსნა ანგარიში. გასათანაბრებლად მასპინძლებს 19 წუთი დასჭირდათ. დარიუშ ვოშმა კაი მიხალკეს პასი გადასცა, მიხალკემაც თვრამეტი მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ჰესპისგან მარჯვენა კუთხეში შეაგდო. საინტერესოა, რომ „ჰერტას" ფეხბურთელებს აქამდე ოთხი თამაშია, გოლი არ გაუტანიათ. ტაიმის მიწურულს ფიგუმ მეტად სახიფათო საჯარიმო დარტყმა შეასრულა, მაგრამ გაბორ კირალი ბურთს ადგილზე დახვდა.

შეხვედრის მეორე ნახევარში ნისლმა კიდევ უფრო იმატა და თამაში წითელი ბურთით გაგრძელდა. ესპანელები მწვავედ უტევდნენ, თუმცა კირალი შეცდომებს არ უშვებდა.

ეს იყო და ეს, რისი გარჩევაც მინდორზე შეიძლებოდა. მატჩის შემდგომი კომენტარებიც ძირითადად ამინდის თემას ეხებოდა. „ჰერტას" მენეჯერმა დიტერ ჰიონესმა განაცხადა: „ბარსელონას" ჩამოსვლა დიდი მოვლენაა. სამწუხაროა, რომ ხალხმა პრაქტიკულად ვერაფერი იხილა. ამიტომ მე მესმის გულშემატკივრების, რომლებიც უსტვენდნენ. პირველ ტაიმში რამდენიმე კარგი მომენტი გვქონდა. მეორეში უკეთ სტუმრები თამაშობდნენ. ვთვლი, რომ ფრე კანონზომიერი და სამართლიანი შედეგია".

### სპარტა 0:2 პორტუ

0:1 დრულოვიჩი (77), 0:2 ჟარდელი (84)
სპარტა: პოსტულკა, გაბრიელი, ნოვოტნი, ფუკალი, ჰაშეკი, ჰორნაკი, [illegible]ბაიდინი ([illegible] 80), ბარანეკი, როსიკი (სვობოდა 87), ლოკვენცი, სიონკო (ზიგლი 81)
პორტუ: ვიტორ [illegible], ჟორჟე კოშტა, რუბენს ჟუნიორი (დრულოვიჩი 73), ალოიზიო ალვეში, სეკრეტარიუ, პაულინიუ სანტუში, ესკერდინია, დეკო სოუზა, ჩაინიო (დომინგუში 90), ჟარდელი (არგელი 86), ნუნო კაპუჩო
მსაჯი: ჟ. ვესიე (საფრანგეთი)

სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა არაერთი მწვავე შეტევა იხილეს. განსაკუთრებით სტუმრები აქტიურობდნენ. შეხვედრის დებიუტშივე ნუნო კაპუჩომ ბურთი ჩეხთა კარის მარჯვენა ძელს გაარტყა. რამდენიმე წუთის შემდეგ დეკო სოუზამ ბადე გარედან შეარხია. პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა. მატჩში გარდატეხა შეცვლაზე შესულმა ლიუბინკო დრულოვიჩმა შეიტანა. სულ ოთხ წუთში მან ტომაშ პოსტულკას პირველი გოლი შეუგდო. ამ დრომდე მასპინძელთა მცველები მარიო ჟარდელს საკმაოდ საიმედოდ იცავდნენ. ჟარდელი შეტევებში მონაწილეობდა, პარტნიორებს პასებითაც ამარაგებდა, კარში დარტყმის ხეირიანი შანსი კი არ მისცემია. პირველი გოლის შემდეგ პორტუგალიელებს ფრთები შეესხათ, ჩეხებმა კი შეცდომებს უხშირეს. ჟარდელი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა. მასპინძელთა ერთ-ერთ მცველს ბურთისთვის ფეხი რომ არ აეცილებინა, შეტევა ჩაიშლებოდა. ჟარდელმაც ბოძებული შანსი გამოიყენა და მეკარეს ახლო მანძილიდან გაუტანა.

ამ ტურამდე ჩემპიონთა ლიგაში ბომბარდირობისთვის პორტუელს რივალდო ეცილებოდა. ორივეს ხუთ-ხუთი ბურთი ჰქონდა გატანილი. რივალდოს „ჰერტას" წინააღმდეგ არ უთამაშია და შესაბამისად, გოლსაც ვერ გაიტანდა. ჟარდელმა ამით ისარგებლა და ლიგის ერთპიროვნული ბომბარდირი გახდა.

*II ტური. 8 დეკემბერი: პორტუ — ჰერტა, ბარსელონა — სპარტა*

REUTERS ბერლინიდან



ჰერტა — ბარსელონა 1:1. ძლიერი ნისლის გამო ფეხბურთელებს მოედნის ხედვა უჭირდათ

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტუ | | 7.III | 8.XII | 15.III | 2:0 | 3 |
| 2 | ბარსელონა | 1.III | | 15.III | 8.XII | 1:1 | 1 |
| 3 | ჰერტა | 21.III | 1:1 | | 1.III | 1:1 | 1 |
| 4 | სპარტა | 0:2 | 21.III | 7.III | | 0:2 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. B ჯგუფი

### ფიორენტინა 2:0 მანჩესტერი

1:0 ბატისტუტა (25), 2:0 ბალბო (52)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ფირიკანო, პიერინი (ადანი 78), ტორიჩელი, დი ლივიო (როსიტო 67), რუი კოშტა, კოისი, ჰაინრიხი, ბატისტუტა, ბალბო (ბრესანი 78)
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, ჰ.ბერგი (ფ. ნევილი 69), ირვინი, ბექჰემი, სქოულზი, კინი, გიგზი, კოული (შერინგემი 69), იორკი (სოლსკიაერი 69)
მსაჯი: ბ. ჰაინემანი (გერმანია)

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში „მანჩესტერი" მეორედ დამარცხდა. ორივე შემთხვევაში წაგების მიზეზი ერთი და იგივე იყო. გეხსომებათ, „მარსელის" წინააღმდეგ შეხვედრაში ბერგმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. მან ბურთი პირდაპირ ბაკაიოკოს მიაწოდა და ამ უკანასკნელს მანჩესტერელთა კარის დალაშქვრა არ გასჭირვებია. ამჯერად ბერგს როი კინიც შეუერთდა. მათ ფლორენციელებს ორი ისეთი საჩუქარი გაუკეთეს, თვითონ ბატისტუტა და ბალბოც გაკვირვებულნი დარჩნენ.

თამაში კი ორმხრივი შეტევებით დაიწყო. უკვე მერვე წუთზე დუაიტ იორკმა მეტოქის საჯარიმოში კარგ პოზიციაში მყოფი პოლ სქოულზი შენიშნა და ჩააწოდა, მაგრამ მისი დარტყმული ოდნავ ასცდა ტოლდოს კარს. მეთვრამეტე წუთზე რუი კოშტას შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მარკ ბოსნიჩმა იყოჩაღა. კიდევ რამდენიმე წუთიც გავიდა და კინმა ის საბედისწერო შეცდომა დაუშვა, ზემოთ რომ მოგახსენეთ. სტუმართა კაპიტანმა ბურთი საკუთარი ნახევრის შუაგულში მიიღო. მისთვის ბურთის ართმევა არც ერთ ფიორენტინელს არ უცდია. ირლანდიელს შეეძლო, პასი მშვიდად მიეწოდებინა ვინმესთვის. შესაძლო ვარიანტებიდან მან ყველაზე ცუდი აირჩია და გადაწყვიტა, ბურთი მეკარისთვის დაებრუნებინა. გადაცემაც მეტად უხეირო გამოდგა. მასპინძელთა ლიდერს, გაბრიელ ბატისტუტას „ბატიგოლს" არ შეარქმევდნენ, შეცდომის გამოყენება რომ არ შეძლებოდა. მან კინის გადაცემა ჩაჭრა და პირველი გოლიც შეაგდო. ინგლისელებს ანგარიშის გათანაბრება უკვე ერთი წუთის შემდეგ შეეძლოთ. კვლავ სქოულზი უტევდა სახიფათოდ. ფრანჩესკო ტოლდომ მთელი თავისი ოსტატობა გამოაჩინა და კარი ხელუხლებელი დატოვა. ერთ შემთხვევაში კი ბალბოს დარტყმული ბოსნიჩს ფეხზე მოხვდა. პირველი ტაიმის მიწურულს ბექემმა თავისი საფირმო საჯარიმო შეასრულა. მეკარის მოგერიებული ბურთი რეპკას მოხვდა და კინაღამ რიკოშეტით გავიდა ფლორენციელთა კარში.

52-ე წუთზე, ბერგმა „მარსელის" წინააღმდეგ მატჩში ჩადენილი „გმირობა" გაიმეორა და ბოსნიჩისთვის განკუთვნილი ბურთი ბატისტუტას ჩააბარა, მან კი თანამემამულე ბალბოს მიაწოდა, იგიც ბატისტუტას არ ჩამორჩა და მეორე გაიტანა. ამის შემდეგ მანჩესტერელები დაიბნენ. მათ შეტევებს სიმწვავე და მიზანმიმართულობა დააკლდა. ფერგიუსონმაც თამაშიდან ერთდროულად გამოიყვანა ენდი კოული და დუაიტ იორკი. მათ მაგივრად მინდორზე ტედი შერინგემი და ოლე გუნარ სოლსკიაერი შევიდნენ.

შეხვედრის ბოლო თხუთმეტი წუთი სტუმართა უპირატესობით წარიმართა. რაიან გიგზი და დევიდ ბექემი ფლანგებიდან ცდილობდნენ შეტევების განხორციელებას, მაგრამ ტოლდოს კარის სიახლოვეს მყოფი, შეტევაზე შესული ფეხბურთელები გოლის გატანას ვერ ახერხებდნენ. საბოლოოდ შეხვედრა 2:0 დასრულდა.

იტალიელთა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ თქვა: „შედეგით უზომოდ კმაყოფილი ვარ. დამსახურებულად მოვიგეთ. რაც მთავარია, იტალიის ჩემპიონატში ცუდი სტარტის შემდეგ კრიზისი დავძლიეთ. ეს ჩვენი საუკეთესო თამაში იყო".

ფერგიუსონი, ცხადია, უკმაყოფილო დარჩა: „მთლიანობაში წაგებას არ ვიმსახურებდით. მაგრამ ისეთი გოლები გავუშვით, რომ მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ".

REUTERS ფლორენციიდან



ფიორენტინა — მანჩესტერი 2:0. ფლორენციელი გაბრიელ ბატისტუტა და მანჩესტერელი დევიდ ბექემი (№7) ერთმანეთს საქმეს ურჩევენ

### ვალენსია 3:0 ბორდო

1:0 ფარინოსი (60), 2:0 ილიე (66), 3:0 კილი გონსალესი (88)
ვალენსია: პალოპი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, ფარინოსი (ანგულო 80), მენდიეტა, ხერარდი, კილი გონსალესი, ილიე (ალბელდა 75), კლაუდიო ლოპესი (ხუან სანჩესი 90)
ბორდო: რამე, გრენე, აფანუ, საველიჩი, ალიკარტე, პავონი, დიაბატე (რუვიე 85), მიკუ, მარტენსი (ზიანი 58), ვილტორდი, ლასლანდი
მსაჯი: დ. იოლი (ჰოლანდია)

მატჩის შემდეგ ექტორ კუპერი იღიმებოდა. მწვრთნელის კმაყოფილი სახე კი გულშემატკივრებს დიდი ხანია, არ ენახათ. არა, არგენტინელი მენეჯერი უემური სულაც არ არის. უბრალოდ, კუპერს აქამდე სასაცილოდ არ ჰქონდა საქმე. მისი გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში არცთუ საპატიო, მეთოთხმეტე ადგილზეა. თუმცა ბოლო ორი შეხვედრა „ვალენსიამ" ბრწყინვალედ ჩაატარა. გუნდმა ჯერ „ბარსელონას", ახლა კი „ბორდოს" ძლევით საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნა.

ფრანგები დამაჯერებლად არ გამოიყურებოდნენ. პირველ ტაიმში მათ რამდენიმე მომენტი შექმნეს. სტუმრებმა ყველაზე სახიფათო შეტევა 38-ე წუთზე განახორციელეს. სილვენ ვილტორდის მარჯვენა კუთხიდან დარტყმული ანდრეს პალოპის კარის ძელს გარედან მოხვდა. შესვენებამდე არც ესპანელთა შეტევები ყოფილა ისეთი, მეტოქის კარს დამუქრებოდა. მათგან ლოპეს-მენდიეტას გარღვევის გამორჩევა შეიძლება. ფეხბურთელები „ბორდოს" საჯარიმოში შეიჭრნენ, მაგრამ იქ მცველებმა იყოჩაღეს.

მეორე ტაიმში უფრო საინტერესო ამბები მოხდა. რა უთხრა კუპერმა გასახდელში ფეხბურთელებს, უცნობია. ფაქტია, რომ შესვენების შემდეგ „ვალენსიას" შეჩერება შეუძლებელი იყო. რომ არა „ბორდოს" ტოგოელი ცენტრალური მცველის, კოდიო აფანუს თავგანწირვა, შესაძლოა ანგარიში უფრო დიდიც ყოფილიყო

პირველი გოლი ფრანსისკო ფარინოსმა შეაგდო — მარცხენა ფლანგიდან დაახლოებით 25 მეტრიდან დარტყმული ბურთი სტუმართა კარში გაეხვია. ის ტურში გატანილი ერთ-ერთი ულამაზესი გოლია. ექვსი წუთის შემდეგ კლაუდიო ლოპესმა კარის მიმართულებით სახიფათოდ დაარტყა. ფრანგთა იუგოსლაველმა მცველმა ნიშა საველიჩმა ბურთი მარჯვენა ძელის სიახლოვეს უხეიროდ მოიგერია, „ვალენსიას" რუმინელმა ლეგიონერმა ადრიან ილიემ მეკარე ულრიხ რამეს დაასწრო და ანგარიში ორამდე გაზარდა. შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კილი გონსალესმა მოედნის შუაგულში ბურთი მიიღო და მეტოქის კარისკენ დაიძრა. მან გზად ორი მცველი მოატყუა და ლოპესს ჩააწოდა. ამ უკანასკნელმა ბურთი ისევ გონსალესს დაუბრუნა და მანაც მესამე გოლი შეაგდო.

მატჩის შემდეგ ექტორ კუპერმა თქვა: „დღევანდელი შედეგი ჩემთვის მოულოდნელია. ქვეყნის ჩემპიონატში გუნდი ვერ ავლენს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს. ეს გამარჯვება ცხადყოფს, რომ ჩვენ მაღალი კლასის ფეხბურთის ჩვენება შეგვიძლია".

გახარებული იყო პირველი გოლის ავტორი, ფრანსისკო ფარინოსი. მან განაცხადა: „ჯგუფში ფავორიტებად „მანჩესტერს" და „ფიორენტინას" მიიჩნევენ, ჩვენ კი აუტსაიდერებად გვთვლიან. ცხადია, ჩემპიონთა ლიგაში ნებისმიერი თამაშის მოგება ურთულესი საქმეა, მაგრამ რაც დღეს გავაკეთეთ, იგივე ფავორიტებთან შეხვედრაში რატომ ვერ უნდა შევძლოთ"?

*II ტური. 8 დეკემბერი: ბორდო — ფიორენტინა, მანჩესტერი — ვალენსია*

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია | | 7.III | 21.III | 3:0 | 3:0 | 3 |
| 2 | ფიორენტინა | 1.III | | 2:0 | 21.III | 2:0 | 3 |
| 3 | მანჩესტერი | 8.XII | 15.III | | 1.III | 0:2 | 0 |
| 4 | ბორდო | 15.III | 8.XII | 7.III | | 0:3 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ფეხბურთის რუკასთან



ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კლუბ „სევილიას“ სადისციპლინო სასჯელი გამოუტანა. გუნდი მომდევნო საშინაო შეხვედრას საკუთარ არენაზე ვერ ჩაატარებს. გარდა ამისა, მას 2 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. ამ ყველაფრის მიზეზი ის გახლავთ, რომ მიმდინარე ჩემპიონატის გახსნით მატჩში, 22აგვისტოს, „სევილიას“ ერთ-ერთმა გულშემატკივარმა გვერდით არბიტრს ბოთლი ესროლა. ფედერაციამ ეს საკითხი მხოლოდ ახლა განიხილა. შესაძლოა კლუბს მშობლიურ ქალაქში თამაშის უფლება მისცენ, ოღონდ ახალაგებულ ოლიმპიურ სტადიონზე.

ფრანგული „ბორდოს“ სამი გულშემატკივარი სამშაბათს ესპანეთის პოლიციამ ხულიგნობისთვის დააკავა. ისინი კლუბს ანდალუზიაში, იქაურ „ვალენსიასთან“ შეხვედრაში მხარდასაჭერად ჩაჰყვნენ. მატჩის დამთავრების შემდეგ, მათ ერთ-ერთ სამართალდამცავს ისე სცემეს, პოლიციელი ჰოსპიტალში წასაყვანი შეიქნა.

შვეიცარიის ქალაქ ნიონში გამართულ შეხვედრაზე, უეფამ ევროთასების ფინალური მატჩების ბილეთები ასე გაანაწილა — ჩემპიონთა ლიგის ფინალს, რომელიც გაისად, 24 მაისს, პარიზის „სტად დე ფრანსის“ სტადიონზე გაიმართება, მონაწილე გუნდების 25-25 ათასი გულშემატკივარი დაესწრება. 10 ათასი ბილეთი ადგილობრივი მაყურებლისათვის, კიდევ ერთი ამდენი უეფას ოფიციალური წარმომადგენლებისა და პარტნიორებისათვის გამოიყო. უეფას თასის ფინალურ შეხვედრას, რომელიც 17 მაისს, კოპენჰაგენში, „პარკენის“ სტადიონზე ჩატარდება, კლუბების 12-12 ათასი და 9 ათასი იქაური ქომაგი მიადევნებს თვალყურს. უეფამ თავის 7 ათას დელეგატსა და ოფიციალურ პარტნიორსაც მოუნახა ადგილი.

ესპანური და მსოფლიო ფეხბურთის გრანდმა, „ბარსელონამ“, ბოლო რამდენიმე შეხვედრა არცთუ სახარბიელოდ ჩაატარა, თუმც მისადმი ინტერესი და სიმპათია სულაც არ განელებულა. თავად განსაჯეთ, „ბარსას“ მშობლიურ „კამპ ნოუზე“ მდებარე მუზეუმს, რომელიც 1984 წლიდან მოქმედებს, წლეულს არნახულად ბევრი დამთვალიერებელი ესტუმრა. ეს გასაკვირი სულაც არ არის — კლუბი ხომ მიმდინარე კვირეებში საიუბილეო 100 წლისთავს ზეიმობს.

იტალიური რომის „ლაციოს“ 50-მდე გულშემატკივარი აღშფოთებული მიიჭრა „ფორმელოს“ საწვრთნელ ბაზაზე. ამით ქომაგებმა პროტესტი გამოუცხადეს საყვარელ გუნდს, რომელიც სერია A-ს ბოლო ტურში თანაქალაქელ „რომასთან“ 1:4 განადგურდა. რამდენიმე მათგანმა მოედანზეც კი შეაღწია, ისინი „ლაციოს“ კაპიტან ალესანდრო ნესტასთან შელაპარაკდნენ. ფანებმა ბოლმა გადმოანთხიეს, 20 წუთის შემდეგ კი იძულებულნი გახდნენ, ბაზა დაეტოვებინათ და გუნდმაც ვარჯიში განაგრძო.

იუგოსლავიის ნაკრებისა და იტალიური „ფიორენტინას“ ფორვარდმა პრედრაგ მიატოვიჩმა, ორშაბათს აქილევსის ქუსლის ოპერაცია გაიკეთა და ექიმების ვარაუდით, უახლოესი ორი თვე ვერ ითამაშებს. ტრავმით გატანჯულ ფეხბურთელს ბოლო რამდენიმე შეხვედრის გამოტოვებაც კი მოუხდა. ბოლო მატჩი „ფიორენტინას“ რიგებში მან 3 ოქტომბერს, „რომას“ წინააღმდეგ ჩაატარა. მიატოვიჩი ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ორთაბრძოლებსაც გამოაკლდება.

ესპანური მადრიდის „რეალის“ ექიმების განცხადებით, კლუბის გერმანელი გოლკიპერი ბოდო ილგნერი მინიმუმ წლის ბოლომდე ვერ ითამაშებს. მეკარე ოქტომბერში, ჩემპიონთა ლიგის მატჩში პორტუგალიური „პორტუს“ წინააღმდეგ დაშავდა. „რეალის“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ილგნერი იანვარში გასამართი კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამოჯანმრთელდება და ამ ტურნირში თავის გუნდს დაეხმარება.

უელსელ ფეხბურთის სპეციალისტ ჯონ ტოშაკს, რომელიც მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან სულ ახლახან გადააყენეს, სამეფო კლუბთან ფინანსური პრობლემები შეექმნა. მათ მოსაგვარებლად ტოშაკი და მისი იურისტი „სანტიაგო ბერნაბეუს“ ეწვივნენ, მაგრამ მადრიდულ კლუბს ვერაფერს გამორჩნენ. ის კი არა, „რეალის“ ხელმძღვანელებმა ტოშაკს განუცხადეს, საერთოდ დაგიკავებთ ხელფასს, თუ გაზეთებში ჩვენს კრიტიკას არ შეწყვეტო.

# საძაგლობანი და მათი დაგვირგვინება

მოლუშული რონალდო მორიგ უბედობას ტირის. მისი ოდესღაც ბრწყინვალე კარიერა მორიგმა ტრავმამ დალახვრა.

„რა ვთქვა აღარ ვიცი. წარმოუდგენლად უიღბლო გახლავართ“.

ახლა რონალდომ ორი თვე უნდა იმკურნალოს. კვირას, იტალიის ჩემპიონატში, „ლეჩეს“ 6:0 ძლევის დროს მან მუხლი და კოჭი იტკინა. ამ ამბავმა ტრავმებით დაწყვეტილი გასული სეზონი, გაწყალებული ავსტრალიური ტურნე და კარიერაში პირველი გაძევება („მილანთან“ შეხვედრაში) დააგვირგვინა. ჭორებს, თითქოს 23 წლის ვარსკვლავი საბოლოოდ გადაიწვა, დამაჯერებლობა შეემატა.

„როგორც ჩემი, ასევე „ინტერის“ საქმეები საძაგლად მიდის. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ესაა — გული მწყდება. სხვა რა უნდა მომხდარიყო დაუჯერებელი და ურთიერთგამომრიცხავი ამბების ბოლოს თუ არ ასეთი რამ? შარშანდელი უიღბლობების შემდეგ, როგორც იქნა, გამოვკეთდი, ფორმაში შევედი და გუნდის დახმარებას ვაპირებდი“.

„პირველი ნახევარი საათი „მილანის“ წინააღმდეგ ჩინებულად ვითამაშეთ, მაგრამ შემდეგ სულელური წითელი ბარათი მივიღე. ამას ავსტრალიურ ტურნესთან დაკავშირებული პრობლემები დაემატა. ბოლო შეხვედრაში კი ყველაფერი საუცხოოდ აეწყო, მეც კარგად ვთამაშობდი, გუნდიც, მოვიგეთ, გულშემატკივარს სიამოვნება მივანიჭეთ, მაგრამ, უეცრად სრულიად უაზრო რამ მოხდა და მე კვლავ ამოვვარდი კალაპოტიდან. დღეს დარდის გამზიარებელი მჭირდება“.

დაშავებამდე ერთი კვირით ადრე რონალდოს კლუბსა და ეროვნულ გუნდს შორის ბოგირის გადაწევა გაიმართა. ფეხბურთელმა მსოფლიოს მეორე ბოლოსკენ იმოგზაურა: ავსტრალიაში ჩავიდა ბრაზილიის 23 წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ორი ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად, მაგრამ „ინტერმა“ განაცხადა, რომ მისი განთავისუფლება მხოლოდ ერთი თამაშით შეეძლო და ფიფამაც კლუბს დაუჭირა მხარი. ნაკრების მწვრთნელმა, ვანდერლეი ლუქსემბურგომ ბრაზი რონალდოზე გადმოანთხია. ის ერთი შეხვედრისთვის არ მჭირდებაო და ფორვარდი იტალიაში ბურთისთვის ფეხის მიურტყმელად გააბრუნა. ლუქსემბურგოს იგი „ინტერისადმი“ თავდადებაში დაუდანაშაულებია. რონალდოს ოლიმპიადაზე წავიყვან თუ არა, ჯერ კარგად დავფიქრდებიო.

**ბრაიან ჰოუმვუდი, როიტერი**




მცირე ტრავმის მიუხედავად რომაელთა ლიდერი ფრანჩესკო ტოტი თემურ ქეცბაიას „ნიუკასლთან“ მაინც ითამაშებს

# ორთაბრძოლების მოლოდინში...

UEFA CUP — მეთექვსმეტედფინალი. I წრე

მას შემდეგ, რაც სამშაბათს უეფას თასის გადმოტანილ მატჩებში ორმა იტალიურმა გუნდმა — „ბოლონიამ“ და „უდინეზემ“ არც თუ ისე სახარბიელოდ იასპარეზეს, ახლა აპენინელთა სამი დანარჩენი წარმომადგენლის, უეფას თასის უკანასკნელი მფლობელის „პარმას“, „იუვენტუსისა“ და „რომას“ დრო დადგა.

„პარმა“, რომელმაც მიმდინარე სეზონი არც ისე ძლიერად დაიწყო, როგორც ჩანს, ნელ-ნელა შედის ჩვეულ ფორმაში. დღეს იგი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან გამოვარდნილ ავსტრიულ გრაცის „შტურმს“ მიიღებს. პარმელები მომავალ მატჩს კარგი ფსიქოლოგიური განწყობით ხვდებიან. სერია A-ს უკანასკნელ ტურში მათ საკუთარ სტადიონზე აუტსაიდერ „კალიარის“ სძლიეს 3:1. თუმც მთავარი მწვრთნელი ალბერტო მალეზანი იდეალურ შემადგენლობას ალბათ მაინც ვერ დააყენებს. ნახევარმცველები — პაოლო ვანოლი და ფრანგი ალენ ბოგოსიანი ოდნავ დაშავებულნი არიან. წინასწარი მონაცემებით, მალეზანიმ შესაძლოა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენოს, რადგან ცალი თვალი სერია A-ს მომავალი ტურისკენ უჭირავს. კვირას პარმელები იტალიის ჩემპიონ „მილანს“ სტუმრობენ. ასე რომ, დიეგო ფუზერი, ფაბიო კანავარო, ლილიან ტურამი, არიელ ორტეგა ან ერნან კრესპო, ერთ-ერთი ამათგანი იქნებ სათადარიგოთა სკამზეც აღმოჩნდეს.

ტურინის „იუვენტუსსაც“ თითქმის ანალოგიური სიტუაცია შეექმნა. სერია A-ს წინა ტურში მათ „მილანი“ დაამარცხეს, ხოლო მომდევნო კვირას რომში ადგილობრივ „ლაციოს“ სტუმრობენ. თუმცა ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ მეორე შემადგენლობით დამარცხება არამც და არამც არ გახლავთ ადვილი. ეს ტურინელთა თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ კარგად უნდა გაითვალისწინოს. წინასწარ არაფერია ცნობილი, თუმც საკვირაო მატჩისთვის მთავარმა მწვრთნელმა შესაძლოა ზინედინ ზიდანი, ალესანდრო დელ პიერო და ფილიპო ინძაგი დაასვენოს.

ამავე მიზეზით ანტონიო კონტესა და ესნაიდერ — ფონსეკას დუეტის ასპარეზობაც საეჭვოა.

ორიოდ სიტყვა „რომაზეც“ ვთქვათ, გუნდზე, რომელმაც იტალიის ჩემპიონატის გასულ ტურში „ლაციო“ გაანადგურა 4:1. დღეს რომაელები ინგლისურ „ნიუკასლს“ უმასპინძლებენ. ფაბიო კაპელოს გუნდს ნამდვილად დააკლდება ამადეო მანგონე, რომელსაც დისკვალიფიკაცია აქვს. მის ადგილს, ალბათ, ალესანდრო რინალდი დაიკავებს. მცირე პრობლემა აქვს რომაელთა კაპიტან ფრანჩესკო ტოტის, რომელმაც ქალაქურ დერბიში მიღებული მიკრო-ტრავმის შემდეგ ორშაბათს გუნდის ვარჯიში გამოტოვა. მას კუნთი დაეჭიმა, თუმცა „რომას“ ექიმები იმედოვნებენ და თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ ტოტი „ნიუკასლთან“ ითამაშებს.

### რუსეთის (ვიცე) ჩემპიონი

ინგლისურ „ლიდს იუნაიტედს“ უეფას თასის უკანასკნელ ორ ეტაპზე ბედმა რუსეთის ორი უძლიერესი გუნდი — მოსკოვის „ლოკომოტივი“ და „სპარტაკი“ არგუნა. დევიდ ოლირის შეგირდებმა „ლოკომოტივის“ ბარიერი იოლად გადალახეს და ახლა ჩემპიონთა ლიგიდან გამოძევებულ „სპარტაკს“ დაუპირისპირდებიან. რუსეთის პირველობის ტრიუმფატორებს ერთ-ერთი ლიდერი — ანდრეი ტიხონოვი დააკლდებათ, რომელმაც ლიგის მატჩში პრაღის „სპარტას“ წინააღმდეგ წითელი ბარათი მიიღო და თამაშის გამოტოვება მოუწევს. კლუბს დაუბრუნდა მცველი იური კოვტუნი. მან ერთმატჩიანი სასჯელი უკვე მოიხადა.

### სხვა წყვილები...

ლონდონის „არსენალი“, რომელიც ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთიშა და უეფას თასზე გადაინაცვლა, კვლავ დაბრუნდა მშობლიურ „ჰაიბერიზე“ და იქ მიიღებს ფრანგულ „ნანტს“.

შოტლანდიურ „რეინჯერსს“, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ტურნირიდან გერმანულმა „ბაიერნმა“ გამოთიშა, ახლა შეუძლია მეორე გერმანულ გუნდზე, დორტმუნდის „ბორუსიაზე“ იყაროს მთელი ჯავრი.

**ოსიან შაინი, როიტერი**

# გიორგობაზე ძალიან დავთვერი

ქართველები ჯერ კიდევ ადამიანები ვართ. ამაში გიორგობის მეორე დილას დავრწმუნდი, როდესაც ცხვირმტკივანი ვცდილობდი გამეხსენებინა რა მოხდა წინა საღამოს.

ასე იყო: როგორც კი „ძველი თბილისი“ უშუალო მოვალეობის შესრულებას შეუდგა, მე, როგორც სპორტული გაზეთის თანამშრომელს, ყველამ ფეხბურთზე დამიწყო ლაპარაკი. ისინი მეკითხებოდნენ, მე ვპასუხობდი. თავიდან მკითხეს ამ სეზონში ჩემპიონთა თასს ვინ აიღებსო. მე ვუპასუხე „ბარსელონა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლაციო“, „რეალი“, „ფიორენტინა“, „ბაიერნი“ ან „ჩელსი“ მეთქი. მერე კიდევ ერთი ჭიქა დავლიეთ. მათ ისევ მკითხეს მაინც, მაინცო. პასუხი უფრო ზუსტი რომ გამომსვლოდა ჩამოვთვალე იგივე გუნდები და „ვალენსია“ „ჰერტა“ და „პორტუ“ დავამატე. კიდევ დავლიეთ. შენ რომელი გირჩევნია „ბარსელონა“ თუ „რეალიო“, მკითხა ერთმა. ვუპასუხე „ბარსელონა“, მეთქი და მან მე ცხვირი გამიტეხა.

კიდევ ერთი სადღეგრძელო ვთქვით, მგონი მეგობრობის, რის შემდეგაც ერთი ძველი, დიდი ხნის უნახავი მეგობარი, რომელიც ძალიან ჰგავს კლარენს ზეედორფს, მომიტრიალდა, წელან ველარ მოგისმინე, რას ამბობდი, „ბარსა“ ჯობია თუ „რეალიო“. „რეალი“, მეთქი, ვუპასუხე. როგორ, ანელკა კლუივერტს გირჩევნიაო? ამას მოვაყოლე თეორია საყრდენ ფეხსა და ნახევარბრუნზე. სანამ მე ვლაპარაკობდი ის პირში უკულმა ჩადებული სიგარეტის ანთებას ცდილობდა. ბოლოს მიხვდა, რომ „რეალს“ ვაქებდი და მან მე ცხვირი გამიტეხა.

მერე მეუღლეები ვადღეგრძელეთ. ნადღეგრძელევთაგან ერთს გაახსენდა, რომ 1994 წელს მის ქმარს კითხვაზე დღეს ვინ მოიგებს „მილანი“ თუ „ბარსელონაო“ ვუპასუზე „ბარსა“, მეთქი. ქმარი წასულა და ასდოლარიანი ნიძლავი დაუდია. ბევრი ვიცინეთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქმარმა სუფრის მეორე ბოლოდან თეფში მესროლა და ცხვირი გამიტეხა.

ამის მერე ჩემმა ძმაკაცმა, რომლის მეჯვარეც ვარ — ზუსტად არ მახსოვს მეოთხე კლასში დაქორწინდა თუ მეოთხე კურსზე — განსხვავებული ითხოვა. მას ძალიან უყვარს წინსვლა წარმატებების სადღეგრძელო. წინსვლა-წარმატებებმა ყველას თბილისის „დინამო“ გაახსენა და საქართველოს ნაკრებზე მკითხეს რაღაც. მე ვუპასუხე, რომ ბოსკამპი კარგი მწვრთნელია. მაშ ყველა თამაში რატომ წააგოო, მე ვუთხარი, რომ ლატვიასთან ფრედ ვითამაშეთ. ძმაკაცი ადგა და გააკეთა ის, რასაც სკოლის დროიდან აკეთებს — მან მე ცხვირი გამიტეხა.

განსხვავებულმა ბოლო მომიღო. ძალიან მთვრალმა აქეთ-იქით დავიწყე სიარული. ბოლოს ჩემს ნათლულს (იმ ძმაკაცის ვაჟს) მივუჯექი და ვუთხარი მე და მამაშენი შენხელები რომ ვიყავით თბილისის „დინამო“ ძალიან მაგარი გუნდი იყო, ჩივაძე, ყიფიანი, გუცაევი და შენგელია თამაშობდნენ და „ლივერპულს“ უგებდნენ, მეთქი. მერე ვთქვი, რომ ფეხბურთი სტადიონზე იწყება და არა ტელევიზორში ანუ „იუვენტუსის“ დედაც ვატირე, მეთქი. ის „დინამო“ მოიგებდა თუ ეს „ლაციოო“, მკითხა. ამაზე ვუპასუხე, რომ მთავარი ჯიგარი და სიყვარულია. ნათლულმა ყველაფერი სწორად გაიგო და მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო მან მე ცხვირი გამიტეხა.

ამრიგად ნათელია: ქართველებს ძალიან გვიყვარს ფეხბურთი, ხოლო თუ გიყვარს, ესე იგი ადამიანი ხარ.

**პაპუნა ძედია**

***ავტორი პირობას დებს, რომ ახალ წლამდე სამსელს აღარ გაეკარება***

## სამხრეთ ამერიკა


ხავიერ სავიოლა

# დიდი ნაგების კაცი

გარდაიცვალა ფლავიო კოშტა, ბრაზილიელი მწვრთნელი, რომელიც წარმატებებზე მეტად დამარცხებებით იყო ცნობილი. იგი 93 წლისა გახლდათ.

ფლავიო კოშტამ რიო დე ჟანეიროს კლუბ „ვასკუ და გამას" გარკვეული წარმატებები მოუტანა, მაგრამ ხალხის მეხსიერებაში მაინც დარჩა კაცად, რომელიც 1950 წელს ეროვნულ ნაკრებს ხელმძღვანელობდა. მოგეხსენებათ, 1950 წელს ბრაზილიამ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა და მოხდა ისე, რომ შეჯიბრების გადამწყვეტი შეხვედრა კალენდრის ბოლო მატჩს დაემთხვა. ბრაზილიისა და ურუგვაის თამაში ფაქტობრივად ფინალი გახლდათ.

იმ, 1950 წლის შეხვედრაში ბრაზილიელებს ფრეც აძლევდათ ხელს, ვინაიდან მოწინავე ფეხბურთის მქადაგებლებმა წინა ორ შეხვედრაში, შვედეთსა და ესპანეთს 13 გოლი გაუტანეს.

გამარჯვებაში დარწმუნებულმა 200 ათასმა ქომაგმა შეავსო ლეგენდარული სტადიონის, „მარაკანას" ტრიბუნები, მაგრამ დაიწყო შეხვედრა და მეორე ტაიმის დასაწყისში დაწინაურების მიუხედავად, მასპინძლებმა 1:2 ნააგეს. ფეხბურთზე სიგიჟემდე შეყვარებულმა ერმა მარცხი ვერ გადაიტანა, ხოლო ამ ორი ქვეყნის ნაკრებთა ყოველი დაპირისპირების წინ, დღემდე იწერება ერთობ გესლიანი წერილები.

ფლავიო კოშტა ბრაზილიის ნაკრებს 1944-1950 წლებში ედგა სათავეში. იგი თანამდებობას ცოტა ხნით 1956-შიც დაუბრუნდა. ამასწინათ „ლანცესთვის" მიცემულ ინტერვიუში ფლავიო კოშტა ამბობდა:

„ადრე ბრაზილიელები საკუთარ თავს მსოფლიო ფეხბურთის აუტსაიდერებად აღიქვამდნენ, მაგრამ ჩემს დროს ყველაფერი შევცვალეთ".

რიო დე ჟანეიროს პოლიკლინიკის პრესატაშემ განაცხადა, რომ კოშტა ორშაბათს ავადმყოფობამ შეიწირა. კერძოდ, რით იყო ავად, არ თქმულა.

## არგენტინა

მე-15 ტური. სან ლორენსო — ლანუსი 0:1; ბოკა ხუნიორსი — უნიონი 2:0; ტალერესი — რივერ პლეიტი 1:4; რასინგი — ხიმნასია ხუხუი 1:0; ხიმნასია ლა პლატა — ნიუელს ოლდ ბოიზი 3:1; როსარიო სენტრალი — ბელგრანო 2:0; კოლონი — ესტუდიანტესი 1:0; ფერო კარილი — არგენტინოს ხუნიორსი 0:0; ინსტიტუტო — ინდეპენდიენდე 2:1; ჩაკარიტა — ველეს სარსფილდი ჩაიშალა

არგენტინაში საშემოდგომო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. ლიდერი „რივერ „პლეიტი" მეორე ადგილოსან „ბოკა ხუნიორსს" მხოლოდ სამი ქულით უსწრებს. შესაბამისად, მათთვის ქულების დაკარგვა შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს.

მორიგ ტურში მოულოდნელობები არ მომხდარა. „რივერმა" სტუმრად „ტალერესი" გაანადგურა. მატჩი 4:1 დასრულდა. გამარჯვებულთაგან ორჯერ ნახევარმცველმა გილერმო პერეირამ გაიტანა, თითოჯერ ხავიერ სავიოლამ და პაბლო აიმარმა იზეირეს. არგენტინელები განსაკუთრებული ინტერესით სავიოლას თამაშს აკვირდებიან. 17 წლის ყმაწვილმა წინა ტურში დუბლი შეასრულა და ამჯერადაც შეაგდო.

ჩემპიონატის ბომბარდირი მარტინ პალერმო კი ტრავმირებულია. შეგახსენებთ, ამას წინათ პალერმო უხერხულად წაიქცა და სავარაუდოდ ექვსიდან ცხრა თვემდე გაუცდება. მის არყოფნაში „ბოკამ" შინ 2:0 მოუგო „უნიონს". გოლები ვალტერ სამუელმა და გილერმო ბაროს სშელოტომ გაიტანეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 15 | 11 | 3 | 1 | 34:14 | 36 |
| ბოკა | 15 | 10 | 3 | 2 | 28:12 | 33 |
| სან ლორენსო | 15 | 9 | 3 | 3 | 26:13 | 30 |
| როსარიო | 14 | 9 | 1 | 4 | 26:15 | 28 |
| ტალერესი | 15 | 8 | 3 | 4 | 30:21 | 27 |
| ველესი | 14 | 7 | 5 | 2 | 20:10 | 26 |
| რასინგი | 15 | 6 | 7 | 2 | 20:16 | 25 |
| ჩაკარიტა | 14 | 6 | 4 | 4 | 27:18 | 22 |
| ლა პლატა | 15 | 4 | 8 | 3 | 20:16 | 20 |
| ლანუსი | 15 | 6 | 2 | 7 | 17:23 | 20 |
| ინდეპენდიენტე | 15 | 4 | 6 | 5 | 14:17 | 18 |
| ბელგრანო | 15 | 4 | 5 | 6 | 18:24 | 17 |
| არგ. ხუნიორსი | 15 | 3 | 7 | 5 | 17:19 | 16 |
| კოლონი | 15 | 4 | 4 | 7 | 17:22 | 16 |
| ინსტიტუტო | 14 | 3 | 6 | 5 | 17:24 | 15 |
| უნიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 14:21 | 15 |
| ესტუდიანტესი | 15 | 4 | 3 | 8 | 19:27 | 15 |
| ოლდ ბოიზი | 15 | 2 | 5 | 8 | 15:22 | 11 |
| ფერო კარილი | 15 | 1 | 5 | 9 | 8:28 | 8 |
| ხუხუი | 15 | 1 | 1 | 13 | 10:35 | 4 |

## ბრაზილია

**პლეი ოფი. II ტური**

**კორინთიანსი 2:0 გუარანი**

**პონტე პრეტა 2:1 სან პაულუ**

**კრუზეირო 2:3 ატლეტიკო მინ.**

**ვასკუ და გამა 2:2 ვიტორია**

ბრაზილიაში ჩემპიონობისთვის ბრძოლას რვა გუნდი აგრძელებს. ისინი მეოთხედფინალში ხვდებიან ერთმანეთს. ნახევარფინალში გასასვლელად გუნდები სამ მატჩს ატარებენ. პირველი თამაში იმ გუნდის მოედანზეა, რომელიც ჯგუფურ ტურნირში უფრო დაბალ საფეხურზე გავიდა. თუ რომელიმე კლუბმა ზედიზედ ორი მატჩი მოიგო, მესამე შეხვედრის საჭიროება აღარ არის. წყვილებიდან ორივე თამაშის მოგება მხოლოდ „ატლეტიკო მინეირომ" შეძლო. ბელუორიზონტულ დერბიში, მან „კრუზეირო" დაამარცხა. დარჩენილი სამი ნახევარფინალისტის ვინაობა ორი შეხვედრით ვერ გაირკვა. „ვასკუ და გამამ" და „ვიტორიამ" მეორე მატჩში 2:2 ითამაშეს. ამჟამინდელმა ჩემპიონმა „კორინთიანსმა" „გუარანს" 2:0 მოუგო. „პონტე პრეტამ" 2:1 დაამარცხა „სან პაულუ". მესამედ ისინი გათამაშების ცხრილში უკეთესი შედეგის მქონე გუნდების მინდვრებზე ითამაშებენ. თუ სამი შეხვედრის ჯამში კლუბებს თანაბარი შედეგი აღმოაჩნდებათ, ნახევარფინალში მასპინძელი გუნდები გავლენ.

ამასობაში ორი საინტერესო რამ მოხდა. ერთი ის, რომ ედმუნდოს გამოსწორებას საშველი არ დაადგა. ამჯერად ჭირვეულ ვარსკვლავს გასახდელში ჩხუბი აუტეხია. „ვასკუს" ხელმძღვანელობამ იმსჯელა და ედმუნდოს დასამშვიდებლად ორმატჩიანი იძულებითი დასვენება გამოუწერა.

მეორე ამბავი ისაა,რომ მარცხის შემდეგ „კრუზეიროს" მწვრთნელი ლევირ კულპი მოხსნეს. ბრაზილიის ჩემპიონატის პირველ ლიგაში სულ 22 კლუბი გამოდის. კუპლი კი მეოცე უიღბლო აღმოჩნდა, ვისაც მიმდინარე სეზონში შედეგი არ მოუწონეს.

# ვიტესს კუმანი სურს

ესპანური „ბარსელონას" და ჰოლანდიის ნაკრების ლეგენდარული ფეხბურთელი, რონალდ კუმანი, რომელიც ამჟამად კატალონიურ კლუბში მთავარი მწვრთნელის ასისტენტია, ჰოლანდიის უმაღლესი დივიზიონის გუნდ „ვიტესთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს. კლუბის ხელმძღვანელობის განცხადებით, ისინი კუმანს მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობენ. არანაირი ოფიციალური ინფორმაცია ამის შესახებ „ბარსელონას" არ გაუვრცელებია. ისიც ცნობილია, რომ მოლაპარაკებები მომავალ შაბათამდე აღარ განახლდება, სანამ კუმანის ოფიციალური წარმომადგენელი საქმიანი ვიზიტის შემდეგ უკან არ დაბრუნდება.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.




ტოდ მარტინი, პიტ სამპრასი, ტომას ენკვისტი, გუსტავო კუერტენი (დგანან), ნიკოლას ლაპენტი, ნიკოლას კიფერი, ევგენი კაფელნიკოვი და ანდრე აგასი

# შურისძიება ამერიკულად

**ჰანოვერი. გერმანია. ATP-ის მსოფლიოს ჩემპიონატი დარბაზი, ჰარდი. საპრიზო 3,6 მილიონი $**

სამშაბათს ჰანოვერში ათასწლეულის უკანასკნელი დიდი საჩოგბურთო ტურნირი — ATP-ის მსოფლიოს პირველობა დაიწყო. უკანასკნელი იქნება შეჯიბრი სტუმართმოყვარე გერმანული ქალაქისთვისაც: ბოლო ოთხი წლის განმავლობაში Expo 2000-ის კომფორტულ დარბაზში მოკალათებული ჩემპიონატი საგაისოდ მომთაბარე ცხოვრებაზე გადავა და ჯერ ლისაბონს ეწვევა, მერე კი ბრაზილიურ სან პაულოს.

ტურნირის ჩატარების წესი ჯერჯერობით უცვლელი რჩება: სეზონის შედეგებით 8 საუკეთესო ჩოგბურთელი ორ ჯგუფად იყოფა, თავ-თავიანთ ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასულები ნახევარფინალში ხვდებიან ერთმანეთს.

წავიდა ის დრო, როდესაც საუკეთესო პროფესიონალები მხოლოდ პრესტიჟისთვის ეპაექრებოდნენ ერთმანეთს და პირველ მსოფლიოს ჩემპიონს, სტენ სმიტს სულ რაღაც 15 ათასი დოლარით ასაჩუქრებდნენ. ახლა სეზონის უკანასკნელ ტურნირზე ფსონები განსაკუთრებით დიდია:

მონაწილეობა: 85 ათასი $

სათადარიგო მოთამაშე: 50 ათასი

ჯგუფში თითოეული მოგება: 115 ათასი

ნახევარფინალში მოგება: 370 ათასი

ფინალში მოგება: 700 ათასი

დაუმარცხებელი ჩემპიონი: 1,5 მილიონი

ცოტათი განსხვავებული, მეტისმეტად პომპეზური გამოდგა წლევანდელი ტურნირის კენჭისყრა, რომელიც ჰანოვერის ცენტრალურ კაფეში გაიმართა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩოგბურთელები ერთი საათით გვიან გამოცხადდნენ ადგილზე, რამაც ბევრ ტელეკომპანიას ცერემონიის პირდაპირ გადაცემის გეგმები ჩაუშალა.

შარვალ-კოსტუმებსა და ჰალსტუხებში გამოწყობილი მოთამაშეები ოფიციალური „მერსედესის" მანქანებით მოგრიალდნენ და საგანგებოდ დაგებული წითელი ხალიჩა ისე გაიარეს, თვალი არ მოუშორებიათ უამრავი პოლიციელისთვის, რომლებიც ვარსკლავების სანახავად შეკრებილ ხალხს, ყინვასაც რომ არ დაგიდევდნენ, ძლივს აკავებდნენ.

ცერემონიასაც მაინცდამაინც სასიამოვნო არ ჩაუვლია. წამყვანს ჩოგბურთის ბევრი არაფერი გაეგებოდა და ტრივიალურ კითხვებსაც მთქნარების მეტი არაფერი გამოუწვევია. ანდრე აგასი სულაც ცუდ გუნებაზე დადგა და თითოსიტყვიანი პასუხების მეტი არაფერი დასცდენია, ერთხელ კი ლამის გაცოფდა.

„ჩვენ ვიცით, რომ შინ ბევრს არ ვარჯიშობთ" — მიმართა მას წამყვანმა, რაზეც ხოტორა ამერიკელმა უმალ მიახალა, რა იცით თქვენ ჩემს შესახებო.

„იმ ტიპს საზიზღარი სუნი ამოსდიოდა პირიდან. რაც უფრო მეტს ვპასუხობდი, მით უფრო მეტს ლაპარაკობდა. ამიტომ იძულებული გავხდი, კონტრზომები მიმელო. ფუჰ, საზიზღარი სუნი" — განაცხადა პრესკონფერენციაზე აგასიმ, რომელიც მსგავსი გამოხტომებით უფრო კარიერის დასაწყისში გამოირჩეოდა.

კენჭისყრის შედეგად კი ჩოგბურთელები ასე განაწილდნენ:

*წითელი ჯგუფი:* ანდრე აგასი (1, აშშ), გუსტავო კუერტენი (3, ბრაზილია), პიტ სამპრასი (5, აშშ), ნიკოლას ლაპენტი (8, ეკვადორი)

*თეთრი ჯგუფი:* ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი), ტომას ენკვისტი (4, შვედეთი), ნიკოლას კიფერი (6, გერმანია), ტოდ მარტინი (7, აშშ)

I ტური

**ანდრე აგასი — ნიკოლას ლაპენტი 6:1, 6:2**

ორი კვირის წინ პარიზის ღია პირველობის ნახევარფინალში მეტოქეებმა მაყურებლებს შესანიშნავი სანახაობა აჩუქეს, მაგრამ ამჯერად ჩრდილო და სამხრეთ ამერიკული დაპირისპირებიდან ხეირიანი არაფერი გამოვიდა.

წინა მატჩიდან, რომელიც სამ სეტში აგასიმ მოიგო, შესაბამისი დასკვნებიც, ეტყობა, მხოლოდ მან გამოიტანა: „ლაპენტი ის ჩოგბურთელია, რომელიც გაიძულებს, ზედიზედ რამდენიმე ზუსტი დარტყმა შეასრულო ყველა გათამაშების, გეიმის დროს. მას უყვარს, როდესაც ზედმეტად აგრესიულობაში, ან პირიქით, პასიურობაში გამოგიჭერს. წინა შეხვედრაში მისი სტილისთვის ჩვეული დაბალი დარტყმებისთვის მზად არ ვიყავი, მაგრამ ამჯერად უკვე ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა".

ასე რომ, აგასი შეეცადა, ლაპენტის უფრო სუსტ, ბექჰენდის მხარეზე გაემახვილებინა ყურადღება, ბურთი მუდმივად ამ მხარეს გადაეგდო და ან მეტოქის შეცდომას დალოდებოდა, ანაც, დარტყმის მიმართულების მოულოდნელი ცვლით მოეგო გათამაშებები.

არჩეული ტაქტიკა სწორი გამოდგა: 1:1-დან პირველ სეტში აგასიმ ზედიზედ 7 გეიმით მოიგო და მატჩის ბედიც უპრობლემოდ გადაწყვიტა. ერთადერთი, რაც ამერიკელს გაუჭირდა, უკანასკნელი ქულის მოპოვება გამოდგა.

მატჩის სწრაფად დასრულების მოსურნე ანდრე ბოლოს მეტისმეტად აჩქარდა თუ განერვიულდა და 5:2-ზე ოთხი მატჩ-პოინტი ორმაგი და უნებლიე შეცდომებით გაუშვა ხელიდან. ლაპენტის, თავის მხრივ, სამჯერ შეეძლო ერთი დარტყმით ანგარიშის შემცირება, მაგრამ ათწუთიანი გეიმი მაინც ამერიკელის სასარგებლოდ დასრულდა.

**პიტ სამპრასი — გუსტავო კუერტენი 6:2, 6:3**

ის, რომ ბოლო სამი თვეა, პიტ სამპრასმა მხოლოდ ერთი მატჩი გამართა და კარიერისთვის საშიში დაავადებაც აიკიდა, ნაწილობრივ გუსტავო კუერტენის დამსახურებაცაა: სწორედ ბრაზილიელთან ვარჯიშის დროს მიიღო აშშ-ის ღია პირველობის დამდეგს პიტმა უმძიმესი ზურგის ტრავმა.

„კუერტენთან ერთად აღრეც რამდენჯერმე მითამაშია, მაგრამ ის ვარჯიში ცხოვრებაში არ დამავიწყდება" — განუცხადა ჟურნალისტებს ამერიკელმა, რომელმაც დისკოზის გართულების თავიდან ასაცილებლად ამიერიდან კვირაში სამჯერ, დამატებით კი ყოველი მატჩის დაწყებამდე და შემდეგ, სპეციალური ვარჯიშები უნდა აკეთოს.

ასე რომ, თუნდაც გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის „პისტოლ პიტს" შურისძიება მართებდა და განკითხვის დღემაც არ დააგვიანა: მსოფლიოს ჩემპიონატზე „გუგას" სადებიუტო შეხვედრაში ამერიკელმა ის 53 წუთში გაანადგურა.

მატჩი ცალკარა გამოდგა: კუერტენს ბურთის კორტზე მოხვედრება და პირველი მოწოდების ჩაგდება უჭირდა, სამპრასი კი ისე თამაშობდა, თითქოს სამი თვით იძულებით არ შეესვენოს: „სასიამოვნოდ გაოცებული ვარ საკუთარი თამაშით, უკეთესს ვერც ვინატრებდი. რაც მთავარია, ზურგი საერთოდ არ ამტკივებია".

პიტს ბადესთან უამრავი ლამაზი დარტყმა გამოუვიდა, მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი რამ მეორე სეტში, 4:2-ზე მოხდა: მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი თავზე გადაგდებულ ბურთს დაედევნა და უკან მოუხედავად უძლიერესი ბექჰენდი ზედ გვერდითა ხაზზე დასვა. სარეკლამო დაფაზე შემხტარ ამერიკელს ხანგრძლივი ოვაციები ერგო: „ასეთი დარტყმა ხუთ წელიწადში ერთხელ, ვარჯიშის დროს შეიძლება გამოგვივიდეს. თავადაც ვერ გეტყვით, როგორ მოვახერხე ეს. უბრალოდ, ასე მოხდა".

**ევგენი კაფელნიკოვი — ტოდ მარტინი 6:4, 1:6, 6:1**

პირველი სეტის შემდეგ, რომელიც ორივე ჩოგბურთელმა უმაღლეს დონეზე ჩაატარა, მათ ახალი ამოცანა დაუსახეს თავს: რომელი უფრო მეტ უაზრო და სულელურ შეცდომას დაუშვებდა. მეორე ხელში ამ მხრივ კაფელნიკოვმა იმარჯვა, მესამეში — მარტინმა, სოჭელი ჟენია კი ამიერიდან ამერიკელს უკვე 7:1-ს უგებს პირად შეხვედრებში.

**ავთანდილ სვანიძე**



# ლენოქსი ყველას აჯობებს, ლუისი ტაისონსაც ემუქრება

**მსოფლიოს** უდავო ჩემპიონი მძიმე წონაში, ლენოქს ლუისი ბრიტანეთში დაბრუნდა და თან ოკეანის გაღმა მონადირებული ქამრები ჩაიტანა. მანამდე ლენოქსმა მთელი კვირა გაატარა ამერიკაში, სადაც კრივზე მწერლებთან შეხვედრებით თავი არ მოუკლავს, თუმც კი ნაირგვარ ტელეშოუებში ჩაერთო და ბევრიც ილაპარაკა.

ლონდონში ლუისი შუა სოჰოში, ვესტ ენდის გულში გამოჩნდა — განთქმული ღამის კლუბების ადგილას. ინგლისურმა მედიამ წამსვე გამართა მისი და ამასწინანდელი ბრიტი ჩემპიონის, ტაისონის მიერ ორგზის გასილაქებული ფრენკ ბრუნოს შედარება. ბრუნო მეტ ჯენტლმენადაა აღიარებული, თავის დროზე, მადლიერი ქომაგები მის ლორდთა პალატაში სამუდამო გამწესებასაც კი მოითხოვდა. სამაგიეროდ, არავინ დავობს, რომ ლუისი უკეთესი მოკრივეა.

თავად ლუისი ამბობს, რომ კარგა ხნით შეუძლია უდავო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება. ჟურნალისტები ეჭვობენ, რომ 34 წლის ლუისს გაუჭირდება აწინდელი ჯანის შენარჩუნება. მაგრამ მისი მწვრთნელი ემანუილ სტიუარდი ამბობს:

„თქვენი შიში უსაფუძვლოა. ამგვარი ნიჭის კაცს, გვარიანი მარაგი აქვს სხეულში და ჯერჯერობით გარდატეხა არ შეინიშნება.

ლუისის მენეჯერები ფრენკ მელოუნი და პანოს ელიადისი კი უკვე ახალ მოწინააღმდეგეებზე ლაპარაკობენ.

შაბათს, ატლანტიკ სიტის „ტაჯ მაჰალში", მათ უცქირეს, თუ როგორ გაანადგურა ... ჩრდილო ამერიკის კრივის ფედერაციის ჩემპიონმა და რეიტინგით ძლიერმა მაიკლ გრანტმა ჰოლანდიელი ანჯეი გოლოტა. მის კანდიდატურას ლუისის ბანაკი განიხილავს.

„უკან არ დავიხევთ ტაისონის წინაშეც, თუკი ის თავის პრობლემებს მოაგვარებს" — თქვა ელიადისმა.

„ეს დიდებული ბრძოლა იქნება. ყოველთვის მინდოდა მაიკთან შერკინება" — აღიარა ლუისმა და იქვე დაურთო, რომ არასოდეს შეხვედრია ევანდერ ჰოლიფილდზე ძლიერ მოკრივეს.

სტიაურდმა კი თამამად განაცხადა, რომ მისი შეგირდი ისეთ ფორმაშია, ყოველ ექვს კვირაში შეუძლია ბრძოლა და ნებისმიერი პრეტენდენტის დამარცხება. „აქ ნოკაუტებზეა ლაპარაკი" — განმარტა სტიაურდმა და ლუისმაც კვერი დაუკრა: „უდავო ჩემპიონი ვარ და მომეთხოვება, თუნდაც ოცდაოთხი რაუნდი ვიჩხუბო. ბევრი კარგი მოკრივეა, მაგრამ ჰოლიფილდისთანა — არც ერთი".

ამერიკაში კი გრძელდება ლუისისთვის ქამრის დამმალავი ფედერაციის (იბფ) საქრთამო საქმეების გამოძიება. სამთავრობო კომისია ფედერაციის თავმჯდომარის ბობ ლის გადადგომას მოითხოვს, სასამართლო კი დავთრებში იქექება. ლი, რომც დარჩეს პრეზიდენტად, მას მეტად შეუკრეჭენ უფლებებს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



ლენოქს ლუისი

# მრთი, ისიც მვროპული

**სტამბოლში** დასრულდა საერთაშორისო ტურნირი, სადაც 48, 54, 60, 67, 75 და 91 კილოგრამ წონით კატეგორიებში ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრი ლიცენზიები გაიცა, დანარჩენ წონებში კი სიდნეის ოლიმპიადის საგზურები. საქართველოს ნაკრები მხოლოდ ერთ, საევროპო ლიცენზიას დაეუფლა. ის ფოთელმა ზაზა კუჭავამ მოიპოვა, რომელიც 75-ში მესამე ადგილზე გავიდა. აქვე გეტყვით, რომ კონტინენტის პირველობის საგზურები პრიზიორებმა მიიღეს, სიდნეისა კი მხოლოდ ფინალისტებმა.

რაც შეეხება ჩვენი გუნდის ლიდერ პაატა გვასალიას, ის თურქეთში ოლიმპიური ლიცენზიისთვის ჩხუბობდა, მაგრამ მეოთხედფინალში წააგო და საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ გუნიამ გვითხრა, მისი წაგება ჩეხ მეტოქესთან მთლიანად მსაჯთა სინდისზეა. ისევე, როგორც დავით ადამაშვილის (51) მარცხი. ასეა თუ ისე, საქართველოს ნაკრები ჯერჯერობით მხოლოდ ვლადიმერ ჭანტურიას ოლიმპიური ლიცენზიის ამარაა, რომელიც მან ოქტომბერში სიმფეროპოლში მოიპოვა. თურქეთში ჭანტურიას არ უასპარეზია — მწვრთნელებმა დაასვენეს.

6 დეკემბერს ჩვენი ნაკრები ათენის სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. ის წონები, რომლებშიც სტამბოლში ოლიმპიური ლიცენზიები გაიცა, ათენში ევროპის ჩემპიონატის საგზურებს გაითამაშებენ და პირიქით. ჯერ უცნობია, როგორი შემადგენლობით გაემგზავრება საქარველოს ნაკრები საბერძნეთში. ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული, ეს კი, მოგეხსენებათ, ყველა ქართული ფედერაციისთვის მტკივნეული საკითხია. გამონაკლისი არც კრივის ფედერაციაა. სახელმწიფომ მხოლოდ გვასალია დააფინანსა, დანარჩენებმა კი (რვა კაცმა) საჭირო თანხა თავად იშოვეს. მათ შორის კუჭავამაც, რომელიც თურქეთში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე შეუერთდა გუნდს.

**ირაკლი თავაძე**

# რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*



**ვახტანგ ბალავაძე**

**თავისუფალი ჭიდაობა**

დაიბადა 1926 წლის 20 ნოემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ ლანირში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. სსრკ ხუთგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობასა (1952-55, 57) და სამბოში ((1952), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1954, 57) და ვერცხლის პრიზიორი (1959), ახალგაზრდობის პირველი საერთაშორისო სპორტული თამაშების ჩემპიონი (1953), 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანი

1. 1953 წელს ბუქარესტში გავიმარჯვე ახალგაზრდობის პირველ საერთაშორისო სპორტულ თამაშებში. მართალია, ტურნირი ახალგაზრდულად იწოდებოდა, მაგრამ, ფაქტობრივად, მსოფლიოს პირველობა იყო. სწორედ მაშინ მიწოდეს „ჭიდაობის პროფესორი“. მომდევნო წელს ტოკიოში მსოფლიოს ჩემპიონიც გავხდი. ამჯერად ჩემზე ასე თქვეს — ბალავაძემ პროფესორობა ბუქარესტში მოიპოვა და ტოკიოში დაამტკიცაო. ეს იყო პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემთვისაც და საბჭოთა კავშირის ნაკრებისთვისაც, რომელიც მანამდე მსოფლიოს პირველობებში არ მონაწილეობდა. ორივე წარმატება ჩემთვის ერთნაირად ძვირფასია.

ყველაზე უსიამოვნო მოგონება კი 1956 წელს მელბურნის ოლიმპიადაზე იაპონელ იკედასთან წაგება იყო, რომელსაც თავიდან ექვსი ქულით ვუგებდი. მსაჯებმაც ძალიან მაზარალეს, მაგრამ მთავარი დამნაშავე მაინც მე ვარ. იკედა არც ისე ძლიერი მოჭიდავე იყო და მისთვის აუცილებლად უნდა მომეგო. სხვათა შორის, მომდევნო წელს მე მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, ის კი თავისი ქვეყნის ნაკრებშიც ვერ მოხვდა.

2. დღესდღეობით გამოსავალს ვერ ვხედავ. სპორტის ასე უყურადღებოდ მიტოვება დანაშაულია. ადრე ქართველების ყველას ეშინოდა, დღეს კი ჩვენთან შეხვედრა უხარიათ, მშივრები არიან და მოვუგებთო. ასე საქილიკონი გავხდით. კონკრეტულად ჭიდაობაზე კი ის შემიძლია გითხრათ, რომ კარგი მწვრთნელები არ გვყავს, თუმცა ძიუდოს და სამბოს ნაკრებთა თავკაცებს ეს არ ეხებათ. აი, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ნაკრების მწვრთნელებისა არ მჯერა. მე ვამბობდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატიდან მედლით ვერავინ დაგვიბრუნდებოდა და ასეც მოხდა. ზოგადად, ქართული სპორტი მოკლებულია მეცნიერულ თვალთახედვას, მეცნიერება ხომ პრაქტიკას ეფუძნება. ჩვენ საერთოდ დავივიწყეთ პედაგოგიკა და სანაცვლოდ ტაშის დაკვრაში გავიწაფეთ. ასეთ პირობებში მომავალ ოლიმპიადაზე პრიზიორიც არ გვეყოლება, აღარაფერს ვამბობ ჩემპიონზე.

3. ვიქტორ სანეევი, გივი კარტოზია, ლევან თედიაშვილი
ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნინო სალუქვაძე



რაგბი

# ლაპორტს ნაკრების კარი გაუღეს

## მიზნად კი 2003 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა დაუსახეს

საფრანგეთის მორაგბეთა ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ჟან-კლოდ სკრელას გადადგომიდან ხუთ დღეში ქვეყნის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა ბერნარ ლაპასემ „მამლების“ თავკაცობა თავის სეხნიას, პარიზის „სტად ფრანსეს“ დამრიგებელ ბერნარ ლაპორტს დაავალა. ახალი ამბავი კვირა საღამოს გაცხადდა.

ლაპორტი (ქართულად „კარს“ ნიშნავს) 35 წლისაა და დედაქალაქის გუნდს 1995 წლიდან წვრთნიდა, 1998 წელს კი ქვეყნის ჩემპიონიც გახადა. ნაკრებში მას რამდენიმე დამხმარე მწვრთნელის მიყვანა გადაუწყვეტია, რომელთა ვინაობასაც სამი კვირის შემდეგ შეატყობინებს ფედერაციას. თანაშემწეები ლაპორტს თითოეული რგოლის უკეთ მოსამზადებლად სჭირდება. ასე რომ, მალე სამმეოთხედელ „მამლებს“ სხვა გაწვრთნის, მორკინალებს — სხვა, დაცვის სიძლიერეზე სხვა იზრუნებს, თავდასხმისაზე კი — სხვა. მთავარ მწვრთნელს თავისი დამხმარეების მიერ შესრულებული სამუშაოს შეჯერება და გუნდის ტაქტიკის არჩევალა დარჩება. მუშაობის ასეთი სტილის დამკვიდრება ლაპორტს სამხრეთელი ბობოლების შემხედვარეს გადაუწყვეტია.

„ახალზელანდიელი ჯონ ჰარტი და ავსტრალიელი როდ მაკქუინი ამგვარად ხელმძღვანელობენ თავიანთ გუნდებს და მათი გამოცდილების გაზიარება არც ჩვენ გვაწყენდა. საფრანგეთის ნაკრებშიც, სამხრეთელთა მსგავსად, ერთი შეფი იქნება და მას სამიოთხი დამხმარე ეყოლება“ — თქვა ბერნარ ლაპორტმა.



ბერნარ ლაპორტი

სამაგიეროდ, „მამლებს“ აღარ ეყოლებათ მენეჯერი. ბერნარ ლაპასეს თქმით, ჟო მაზო, ვისაც უკანასკნელად ეკავა ეს თანამდებობა, საფრანგეთის ყველა ნაკრების ერთგვარი ზედამხედველი იქნება.

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები პირველ ოფიციალურ მატჩს ახალი ხელმძღვანელის მეთაურობით 5 თებერვალს ჩაატარებენ ექვსი ერის პირველობაზე. ისინი კარდიფში უელსის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. მანამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, მაგრამ ლაპორტმა უკვე დაიჭირა თადარიგი. მას თავდაპირველად ფრანგული კლუბების მწვრთნელებთან შეხვედრები აქვს დაგეგმილი, რათა ნაკრების კანდიდატების შესახებ შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაცია მოიპოვოს.

ახალ მწვრთნელს „შეელი“ კაპიტნის მონაწილეობაც სურს: „რაფაელ იბანესსაც უნდა შევხვდე და ჩემი გეგმების შესახებ ვესაუბრო. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მასთან თანამშრომლობისთვის მზად ვარ და ის აუცილებლად შეინარჩუნებს კაპიტნობას“.

რაც შეეხება „სტად ფრანსესთან“ ურთიერთობას, ლაპორტი კლუბში კიდევ ერთი თვე დარჩება. პარიზელთა პრეზიდენტის, მაქს გაზინის თქმით, იგი დედაქალაქის კლუბს თავისი მემკვიდრის შერჩევაში დაეხმარება. გაზინიმ ეს ევროპის თასზე შოტლანდიურ „გლაზგოსთან“ გამარჯვების შემდეგ (37:18) განუცხადა ჟურნალისტებს. ამ დროს კი გასახდელში „სტად ფრანსეს“ მორაგბეები ლაპორტის „ნაკისრი“ შამპანურით აღნიშნავდნენ მოგებას და თავიანთ ექსმწვრთნელს ახალ პოსტს ულოცავდნენ. თუმცა მათთვის ლაპორტის წასვლა კვირამდეც ყოფილა ცნობილი — ნაკრებში გადასვლის შესახებ თვითონ ლაპორტს უთქვამს გასულ ოთხშაბათს თავისი მორაგბეებისთვის, მაგრამ ამის ოფიციალურად გაცხადებამდე „საიდუმლოს“ შენახვაც უთხოვია.

ბერნარ ლაპასემ კი „მამლების“ ახალ ხელმძღვანელს ნამდვილად ძალიან მაღლა აფრენა მოსთხოვა და არწივების საკადრისი მიზანიც დაუსახა: „ბერნარ ლაპორტი, მთელი ფედერაციის აზრით, სწორედ ის კაცია, რომელიც ჩვენს ნაკრებს 2003 წელს მსოფლიოს თასის მოპოვებაში ყველაზე მეტად გამოადგება. სწორედ ესაა ჩვენი მიზანი და იმედია, ბერნარი მის განხორციელებას შეძლებს“ — თქვა საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა.

მსოფლიოს თასამდე დიდი დროა, მანამდე კი ექვსი ერის პირველობაა კარს მომდგარი და სწორედ ამ ტურნირში გამოჩნდება, რისი შემძლეა ბერნარ ლაპორტი.

**გაიოზ თალაკვაძე**

ცურვა

# ახალი ცხოვრება უსპორტოდ

## ცურვით კუნძულთმპყრობელი ფსიქიატრის პაციენტი გახდარა

ავსტრალიელმა მოცურავე სუზი მერონიმ, რომელმაც მარათონული გადაცურვებით გაითქვა სახელი, რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ თავს ანებებს სპორტს. ამის მიზეზად იგი დეპრესიასა და ნერვულ აშლილობას ასახელებს.

არადა, როგორც თავად აცხადებდა, სურდა, რომ ახლო მომავალში გამხდარიყო პირველი ქალი, რომელიც ჰაიტიდან კუბამდე 80 კილომეტრს გაცურავდა.

უნდა ითქვას, რომ მისი ლამის ყველა ტრანსკუნძულური გადაცურვა კუბას უკავშირდება. მერონის თქმით, კუბა მისი მეორე სამშობლოა. ჯერ იყო და მან 1996 წელს კუბიდან აშშ-ში გადაცურა, 1998 წელს მექსიკიდან კუბაში... წლეულს სექტემბერში, იამაიკიდან კუბამდე 145 კილომეტრი გადალახა, რასაც 36 საათი მოანდომა... ამ ხნის განმავლობაში იგი „ფლორიდის“ ქარიშხალში მეტრნახევრიან ტალღებს ებრძოდა.

საინტერესოა, რომ 1991 წელს მერონს ცივი ლა მანშიც წინ და უკან ანუ ბრიტანეთიდან საფრანგეთამდე და პირიქით გადაულახ-გადმოულახავს, თანაც საფრანგეთიდან ბრიტანეთამდე მარშრუტი საუკეთესო დროში დაუფარავს, რისთვისაც 17 საათი და 13 წუთი მოუნდომებია.

მერონი, რომლის სპორტული მიღწევებითაც ასე ამაყობდა ავსტრალია, წუხს მისი სპორტიდან წასვლის თაობაზე.

ყველაფერი თურმე ამას წინათ იმ გახმაურებულ 8-საათიან საქველმოქმედო აქციას უკავშირდება, როდესაც მერონიმ სიდნეის დახურულ აუზში ავსტრალიის მაშველთა სამეფო საზოგადოების მიერ მოწყობილ ღონისძიებისას 675 „წრე“ გაცურა, რაც ბავშვთა შორის ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად თანხების მოზიდვას ითვალისწინებდა. მერე სუზის, როგორც ვიუწყებოდით, საქველმოქმედო აქცია ერთ-ერთ ადგილობრივ ღამის კლუბში აღუნიშნავს, სადაც უგონოდ დამთვრალა. 31 ოქტომბრის დილას კი იგი სიდნეის პოლიციამ მანქანის ტარების მცდელობისას ნასვამი პიჟამოში ჩაცმული დააკავა.

მოგვიანებით სუზი მერონი გულწასული გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მას ფსიქიატრთან დალაპარაკება ურჩიეს.

— ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მეტის მიღწევა შემეძლო, მაგრამ, როდესაც ასეთი რამ შეგემთხვევა, უკვე ძალზე ძნელია იფიქრო რამეზე. — ამბობს მერონი.

— ნერვული შემოტევა პოლიციის ფურგონში დამემართა, სადაც ვხტუნაობდი, ვროკავდი და ვყვიროდი: „დედი, გთხოვ, მიშველე!“

— ერთი სიტყვით, ალბათ ხვდებით, რისი თქმაც მინდა. თქვენ ხომ ამას არ გააკეთებთ მანამ, სანამ დეპრესიაში ჩავარდებით. მოხარული ვარ, რომ ეს უფრო რთულ ფორმაში არ გადაიზარდა.

24 წლის სუზი მერონი ახლა ფსიქოთერაპევტის დახმარებით პრობლემების დავიწყებას და ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებს, ოღონდ უსპორტოდ.

**გიგა გურასაშვილი**



სუზი მერონი

## მთის თხილამურობა

# ჯერ არც კიუსი, არც მაიზნიცერი



REUTERS ბივერ კრიკიდან

დიდიე პლაში

კოლორადოში ბივერ კრიკის ტრასაზე გაიმართა მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი ეტაპი. კაცები ასპარეზობდნენ სლალომში. საუკეთესო დრო აჩვენა და 100 ქულა მიითვალა შვეიცარიელმა დიდიე პლაშიმ. მეორე იყო ნორვეგიელი ანდრე ამოდტი, მესამე ავსტრიელი თომას შტანგასინგერი.

საერთო ჩათვლაში 120 ქულით ამოდტი ლიდერობს, 100-100 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ავსტრიელი ჰერმან მაიერი და დიდიე პლაში იყოფენ.

ქალთა მეორე ეტაპი მანამდე, ასევე კოლორადოში, კოპერ მაუნტაინის ტრასაზე მოეწყო. სლოვენიელი სპელა პრეტნარი შეუდარებელი იყო, მაგრამ არანაკლები წარმატებით იასპარეზა ფრანგმა კრისტელ საიონიმ. საბოლოოდ ორივე სპორტსმენმა ერთი და იგივე დრო აჩვენა. მესამე ადგილზე გავიდა ნორვეგიელი ტრინე ბაკე.

საერთო ჩათვლაში ლიდერობს შვეიცარიელი სონია ნეფი — 140 ქულა. მას კვალში უდგანან ფრანგი რეჯინა კავანუ და შვედი ანა ოტოსონი — 120-120 ქულა.

ჯერჯერობით ჩრდილში არიან შარშანდელი გამარჯვებულები ნორვეგიელი კიუსი და ავსტრიელი მაიზნიცერი.

**ირაკლი ბერიაშვილი**

## ფიგურული სრიალი

# ვისთვის ვარდი და ვისთვის ნედი

გუშინ სანქტ პეტერბურგში ფიგურულად მოსრიალეთა დიდი პრიზის მეორე ეტაპის გათამაშება დაიწყო. მასში ვახტანგ მურვანიძეც მონაწილეობს. შეგახსენებთ, რომ ამ თასისთვის მხოლოდ მსოფლიოს რეიტინგის 12 საუკეთესო სპორტსმენი იბრძვის, მაგრამ მურვანიძე პერსონალურად მიიწვიეს. თითოეული მონაწილე მხოლოდ ორ ეტაპზე სცდის ძალას. საერთო შედეგების ჯამით შეირჩევა 6 საუკეთესო, რომლებიც სუპერფინალში იასპარეზებენ. მურვანიძეს იქ, ალბათ, ველარ ვიხილავთ, რადგან წინა ეტაპზე, გერმანიის ქალაქ გელზენკირხენში, მეცხრე ადგილი დაიკავა. მისთვის ეს ურიგო შედეგი არაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვახტანგი იქ რჩეულ მეტოქეებს ეჯიბრებოდა.

## ციგურაობა

# ნიმანს მუხლებმა უმტყუნა

სენსაციით დასრულდა ციგურაობაში მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე ეტაპი. არსებული თუ არარსებული ტიტულების მფლობელმა გერმანელმა ნიმან-შტირნემანმა 1500 მეტრზე მხოლოდ მეცხრე შედეგი აჩვენა. ამჯერად „ა" ჯგუფში მოასპარეზე ჩინელი სონ ლი იუნიორთა მსოფლიო რეკორდის ავტორად მოგვევლინა. ეს შედეგი მესამე იყო და ჩინელმა 60 ქულა დაიმსახურა. საუკეთესო დრო აჩვენა გერმანელმა ფრაიზინგირმა, მეორე იყო ჰოლანდიელი გრენევოლდი.

კაცების შეჯიბრებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ახლოს არავინ გაიკარა ჰოლანდიელმა ჯანი რომემ. „ტიალფეს" საციგურაოს 10000 მ. დისტანციაზე ჯანის ეულად მოუხდა დროსთან ჭიდილი — მისმა თანამეწყვილე მარტინ ჰარშმანმა ზურგის ტრავმა მიიღო და რბოლა მიატოვა. მეორე ადგილი დაიკავა ასევე ჰოლანდიელმა დე იონგმა, მესამე გერმანელმა დიტრიხმა.

ქალთა საერთო ჩათვლაში (3000-5000) ლიდერობს ნიმან-შტირნემანი — 200 ქულა. კაცებში (5000-10000) კი 200 ქულით დაწინაურდა ჯანი რომე.

**ირაკლი ბერიაშვილი**

## ჰოკეი

# ბატონო ფრეზერ, ვერ დაგეთანხმებით!

22 ნოემბერი

**ატლანტა — ვანკუვერი 6:3**

2:0 3:2 1:1

1:0 სილვესტრი 6'44 (1); 2:0 სილვესტრი 8'13 (2); 3:0 სტეპლტონი 20'47 (1); 3:1 ბრაშირი 27'15 (4); 3:2 მოგილნი 30'16 (9); 4:2 სილვესტრი 31'29 (3); 5:2 ბუკბერგერი 34'25 (3); 5:3 ჰოუგუდი 53'36 (2); 6:3 გარპენლოვი 59'13 (1)

**კაროლინა — ბოსტონი 1:2**

1:0 0:1 0:1

1:0 ჟელინა 7'42 (1); 1:1 ანდრეიჩუკი 37'06 (14); 1:2 ელისონი 43'40 (2)

**ტამპა — ფილადელფია 4:1**

1:0 0:0 3:1

1:0 დრულია 14'49 (5); 2:0 ლეკავალიე 41'05 (7); 2:1 განი 51'35 (5); 3:1 სვობოდა 56'26 (1); 4:1 გრეტონი 59'41 (5)

**სენტ ლუისი — ნეშვილი 3:2**

2:1 0:1 0:0 1:0

0:1 კრივოკრასოვი 4'59 (5); 1:1 ისტვუდი 7'43 (6); 2:1 ბარტესკო 17'07 (3); 2:2 პელტონენი 33'27 (3); 3:2 ისტვუდი 62'39 (7)

**დალასი — კოლორადო 2:3**

1:0 1:1 0:1 0:1

1:0 ჰეჩერი 0'38 (1); 1:1 სკულა 26'24 (1); 2:1 მოროუ 27'03 (1); 2:2 იელი 49'30 (4); 2:3 დედმარში 60'34 (6)

**ანაჰაიმი — მონრეალი 1:2**

0:1 1:0 0:1

0:1 რუჩინსკი 19'45 (8); 1:1 დონატო 28'26 (3); 1:2 ლინდენი 47'57 (2)

23 ნოემბერი

**პიტსბურგი — ტორონტო 3:1**

0:0 1:0 2:1

1:0 იაგრი 24'39 (15); 2:0 ფერენსი 51'41 (2); 2:1 სუნდინი 54'09 (8); 3:1 ტიტოვი 59'38 (6)

**კალგარი — აილენდერსი 3:2**

0:0 2:0 1:2

1:0 ბურე 31'56 (13); 2:0 უიმერი 37'87 (1); 3:0 იგინლა 49'21 (3); 3:1 უები 50'04 (1); 3:2 ბირონი 54'41 (1)

**კოლორადო — ლოს ანჯელესი 2:6**

1:1 1:4 0:1

1:0 საკიკი 12'08 (6); 1:1 მიურეი 13'35 (6); 1:2 ციპლაკოვი 21'31 (4); 1:3 რ. ბლეიკი 22'28 (9); 2:3 რიდი 26'16 (2); 2:4 რ. ბლეიკი 29'20 (10); 2:5 ჯ. ბლეიკი 39'25 (1); 2:6 მიურეი 50:50 (7)

**სან ხოსე — მონრეალი 2:3**

1:0 1:2 0:0 0:1

1:0 ფრიზენი 2'38 (11); 1:1 ჟოლტოკი 21'53 (4); 2:1 დამფუსი 28'32 (8); 2:2 რუჩინსკი 32'47 (9); 2:3 რივე 63'50 (1)

„ძნელია, დღესდღეობით გამოძებნო ახალგაზრდა, რომელიც მაღალი ოსტატობით გამოირჩევა და გოლებიც გააქვს. თუმცა, ჩვენ უკვე გვყავს ასეთი. ეს ახალბედა დონ სილვესტრია" — ამბობს ატლანტას მწვრთნელი კურტ ფრეზერი.

მართლაც, ჰოკეისტმა, რომელმაც ჯერ მხოლოდ მეოთხე მატჩი ჩაატარა ლიგაში, არა მარტო პირადი ანგარიში გახსნა ნჰლ-ში, არამედ „თრეშერსის" ისტორიაში პირველი ჰეთ თრიქის შემსრულებლის სახელიც დაიმკვიდრა. წლევანდელი დრაფტის პირველი ნომრის, პატრიკ შტეფანის არყოფნაში სილვესტრი დიდებულად გაუძღვა ატლანტას და 3 გოლს (აქედან ერთი გამარჯვებისა იყო) პასიც მიაყოლა.

ისე, ფრეზერს ზემოთ თქმულში მთლად ვერ დავეთანხმებით — წლეულს ლიგა ჩინებული ახალგაზრდებით შეივსო, რომლებიც არანაირ ავტორიტეტებს არ უფრთხიან. თავისი პირველი შაიბა მხოლოდ სილვესტრმა როდი გაიტანა, ეს გააკეთეს დალასელმა კენ მორომ და კოლორადოელმა მარტინ სკულამაც. არც სხვა მატჩებში მოთავებულა საქმე ახალბედების ჩაურევლად.

რამდენიმე დღის წინ ცოტა ვინმე თუ იწინასწარმეტყველებდა, რომ მონრეალი ურთულესი კალიფორნიული ტურნედან შინ ქულათა მაქსიმუმს ჩაიტანდა. დაშავებული ლიდერების არყოფნაში კანადურმა კლუბმა შეუძლებელი შეძლო და დაცვაში ბრწყინვალე გარჯის წყალობით სამი მოგება იზეიმა. გამოსარჩევი ბოლო მატჩია. სტუმრებმა გაუძლეს სანხოსელთა ძლიერ ზეწოლას და ოვერტაიმში თავიანთი შანსიც გამოიყენეს.

კვირა დაიწყო თუ არა, გუნდები ანტირეკორდების დამყარებაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ნეშვილმა თავის ორწლიან ისტორიაში პირველად სულ 10-ჯერ დაარტყა, თუმცა სენტ ლუისმა მაინც ვაივაგლახით გატეხა „მტაცებლები". ტამპამ კი, მიუხედავად იმისა, რომ ფილადელფიასთან პრინციპული შეხვედრის (ამ გუნდების ორთაბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა ბოლო ხანს მომხდარი რამდენიმე გაცვლის გამო) მეორე პერიოდში საერთოდ ვერცერთხელ დაარტყა, საბოლოოდ მაინც მოიგო. თანაც, სწორედ ყოფილმა „მფრინავებმა" — კრის გრეტონმა (3 (1+2) ქულა) და მარტინ სვობოდამ (2 (1+1) იძალეს.

ჰოკეის ქომაგთ უთუოდ დასწყდებათ გული, ორი დიდი ოსტატის დაბრუნების შესახებ რომ არ ვამცნოთ. იარომირ იაგრმა და ჯო საკიკმა უკვე მოიშუშეს ტრავმები. პიტსბურგის ლიდერმა გოლით დაამშვენა თავისი გუნდის გამარჯვება, ხელცარიელი არც კოლორადოს კაპიტანი დარჩენილა.

საკიკმა ლოს ანჯელესთან შეხვედრაში ანგარიში გახსნა, მაგრამ მერე მისი კლუბი, რომელსაც წინა დღეს დალასთან უმძიმესი ბრძოლა გადახდა, დაიღალა და სასტიკად დამარცხდა. ეს გარკვეულწილად „მეფეთა" მცველის, რობ ბლეიკის (2+1) ბრალიცაა, რომელმაც თავისი ამპლუის ჰოკეისტთა შორის პირველმა მიაღწია 10-გოლიან ზღვარს.

**სამველ ლარიბიანი**

### სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 23 | 12 | 3 | 1 | 8 | 65:49 | 28 |
| ოტავა | 21 | 12 | 1 | 1 | 8 | 58:46 | 26 |
| ბოსტონი | 22 | 10 | 5 | 0 | 7 | 57:52 | 25 |
| ბუფალო | 21 | 9 | 2 | 0 | 10 | 58:59 | 20 |
| მონრეალი | 23 | 8 | 1 | 1 | 14 | 48:61 | 18 |
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 22 | 11 | 3 | 1 | 8 | 62:51 | 26 |
| ნიუ ჯერსი | 19 | 10 | 3 | 1 | 6 | 51:43 | 24 |
| პიტსბურგი | 19 | 6 | 3 | 3 | 10 | 59:60 | 18 |
| რეინჯერსი | 21 | 6 | 3 | 1 | 12 | 46:60 | 16 |
| აილენდერსი | 18 | 5 | 3 | 0 | 10 | 38:55 | 13 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორიდა | 20 | 11 | 2 | 2 | 7 | 53:46 | 26 |
| კაროლინა | 21 | 9 | 4 | 0 | 8 | 48:52 | 22 |
| ვაშინგტონი | 19 | 7 | 4 | 1 | 8 | 51:56 | 19 |
| ტამპა | 20 | 8 | 1 | 1 | 11 | 56:63 | 18 |
| ატლანტა | 19 | 5 | 2 | 1 | 12 | 46:71 | 13 |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 21 | 13 | 2 | 0 | 6 | 63:46 | 28 |
| დეტროიტი | 21 | 12 | 3 | 1 | 6 | 67:46 | 28 |
| ნეშვილი | 19 | 7 | 1 | 2 | 11 | 48:58 | 17 |
| ჩიკაგო | 20 | 4 | 4 | 1 | 12 | 49:63 | 13 |

| ჩრდილო-დასავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვანკუვერი | 21 | 10 | 4 | 1 | 7 | 63:67 | 25 |
| კოლორადო | 22 | 9 | 3 | 1 | 10 | 59:61 | 22 |
| ედმონტონი | 20 | 6 | 6 | 3 | 8 | 51:51 | 21 |
| კალგარი | 21 | 7 | 2 | 0 | 12 | 50:70 | 16 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 26 | 13 | 3 | 2 | 10 | 76:63 | 31 |
| ლოს ანჯელესი | 23 | 13 | 4 | 0 | 6 | 76:60 | 30 |
| ფინიქსი | 21 | 12 | 3 | 0 | 6 | 64:52 | 27 |
| ანაჰაიმი | 22 | 10 | 2 | 1 | 10 | 57:53 | 23 |
| დალასი | 21 | 8 | 3 | 1 | 10 | 43:48 | 20 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ გრაფაში კი ჩატარებული თამაშების რაოდენობაა მოყვანილი*



REUTERS ტორონტოდან

უეინ გრეცკი და მისი მეუღლე ჯანეტი

# მადლობა შენდა, დიდო უეინ!

ფილ ესპოზიტომ იგი ყველა დროის ყველაზე სხარტ და ოსტატ მოთამაშედ აღიარა. მრავალი წლის პარტნიორმა უდიდესი ადამიანი უწოდა და თქვა, იგი ჩემპიონობისთვისაა დაბადებულიო. ჰოუმ განაცხადა, ძალიან ვამაყობ, რომ ბედმა ასეთ საოცარ მოთამაშესთან და პიროვნებასთან დამაკავშირაო, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ნჰლ-ის პრეზიდენტის, გერი ბეტმენის სიტყვებია: „უღრმეს მადლობას გეუბნებით ჰოკეის სახელით, კეთილი იყოს შენი მობრძანება „დიდების დარბაზში", სადაც დიდი ხანია გელიან".

...კვირას ძალიან ამაღელვებლად შედგა ტორონტოში დიდი ჰოკეისტის „დიდების დარბაზში" საბოლოოდ დამკვიდრების ცერემონიალი.

უეინ გრეცკი მეათე ჰოკეისტია, ვისაც სავალდებულო სამწლიანი ვადის გარეშე ერგო ეს დიდი პატივი. 18 აპრილს გრეცკიმ საბოლოო მატჩი ჩაატარა, ხოლო რამდენიმე დღეში ჰოკეის მექის მესვეურებმა ეს გადაწყვეტილებაც მიიღეს.

დიდებული ოცწლიანი კარიერის განმავლობაში გრეცკიმ ლიგის ლამის ყველა რეკორდი დაამხო, 894 გოლით, 1963 პასით და 2857 ქულით პრაქტიკულად მუდმივი მიღწევები დაამყარა, 10-ჯერ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო, 9-ჯერ გახდა უძვირფასესი მოთამაშე და, რაც მთავარია, ოთხგზის თასის მფლობელია. ამასთანავე, იგი საუცხოო ადამიანია. კარიერის მწვერვალზე მყოფიც კი განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით გამოირჩეოდა და არც ახლა შეცვლილა. თავის საბოლოო სიტყვაში მან ერთხელ კიდევ მიაგო პატივი მეგობრებსა და პარტნიორებს და თავისი შრომა ერთობ მოკრძალებით მოიხსენია. „ყველა ჩემი ოცნება შესრულდა. ამიტომაც დღეს ყველაზე ბედნიერი ვარ" — თქვა მან და ამჯერად უკვე საბოლოოდ გამოეთხოვა დიდ ჰოკეის.

## კვირის მოთამაშე

### რომან ტურეკი (სენტ ლუისი)



ერთობ რთული და ხანგრძლივი გამოდგა რომან ტურეკის გზა აღიარებამდე. სამი წლის განმავლობაში ცვლიდა იგი დალასში ედ ბელფორს და მხოლოდ წლეულს, ახალ კლუბში გადასვლის შემდეგ, ავლენს იგი სრულად თავის შესაძლებლობებს. დუბლიორობას შეჩვეულს თავიდან გაუჭირდა კიდეც პირველი მეკარის მოვალეობის შესრულება. ალაპარაკდნენ კიდეც, ამაოდ ენდნენო „ბლუზმენები" ჩეხს და არცთუ უსაფუძვლოდ — არადამაჯერებელი თამაშისთვის ხშირად ცვლიდნენ მას მატჩის მსვლელობისას. მაგრამ რომანი ფსიქოლოგიურად თანდათან დამშვიდდა და გასულ კვირას თავისი ნამდვილი სახეც გვაჩვენა, სამ მატჩში მხოლოდ სამი შაიბა გაუშვა, ხუთშაბათს კი პაველ ბურეს ფლორიდას გოლიც არ გაატანინა (3:0). ეს კარიერაში პირველი აღიარება გახლდათ. ჩვენ კი კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ბელფორის შემცვლელი... თვით დომინიკ ჰაშეკი იყო.

**საუკეთესო ექვსეული.** 15-21 ნოემბერი

*რომან ტურეკი* (სენტ ლუისი); *კიმო ტიმონენი* (ნეშვილი, 1) — *გერი გელი* (ლოს ანჯელესი); *მაქსიმ აფინოგენოვი* (ბუფალო, 1) — *იანიკ პერო* (ტორონტო, 1) — *პავოლ დემიტრა* (სენტ ლუისი, 1)

## ინგლისი

I დივიზიონი. XX ტური

**იფსვიჩი 1:0 ვულვერჰემპტონი**

1:0 სკოუკროფტი (55)

**სიტი 3:1 ბარნსლი**

1:0 ტეილორი (6), 2:0 გოტერი (10), 2:1 ტომასი (64), 3:1 ჰორლოკი (73)

**ნოტინგემი 2:0 პორტსმუთი**

1:0 ჯონი (6), 2:0 ბეკი (11)

II დივიზიონი. XVIII ტური

**რედინგი 0:0 ბარნლი**

## შოტლანდია

გადადებული მატჩი

**ჰიბერნიანი 0:1 სენტ ჯონსტონი**

## ავსტრია

**ბრეგენცი — ავსტრია**

გადაიდო 30 ნოემბრისთვის

## საფრანგეთი

ლიგის თასი

**ვასკეალი 3:3 (4:5 პ) შატორუ**

# ლომუ დარჩა

„ოლ ბლექსის" მთაკაცი, სარაგბო ჯებირთა მნგრეველი ჯონა ლომუ თავის გოგოს ტეინა სტეისსა კოცნის ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონში გასრულებული პრესკონფერენციის შემდეგ. ამ პრესკონფერენციამ წერტილი დაუსვა ლაპარაკებს ლომუს უცხო მხარეში გადაბარგების შესახებ — მთაკაცს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმებია ველინგტონის სარაგბო ბურთაობის კავშირთან.



REUTERS ველინგტონიდან

# ალი ვენაში

*ვენაშია დიადი მუჰამედ ალი, ვინაც ამასწინათ საუკუნის სპორტსმენად გამოცხადებულთა რიგში აღმოჩნდა. ალი ჩახუტებია 11 წლის სარა ნოევორტს, რომელსაც მისთვის, არ გავიკვირდეთ და, კრივის ხელთათმანები უჩუქნია. თავად მოკრივე კი თავის ევროპულ მოგზაურობას მესამე სამყაროს სიდუხჭირესკენ შეძლებული ევროპის ყურადღების მიპყრობის სურვილით ხსნის.*



REUTERS ვენიდან



REUTERS ბანგკოკიდან

# ბანგკოკისკენ ცხრა მთა გადავიარეთ

საკრინის სპილოთა ფესტივალი ტაილანდური ყეენობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. ბანგკოკიდან 450 კილომეტრით დაშორებულ სურინში უკვე ოცდაცხრამეტი წელიწადია, იმართება სპილოთა ზეიმი. ერთი რომ, ეს ამბავი ტურისტებს იზიდავს და მეორეც, ტაის ხალხს მიაჩნია, რომ სპილოს სრულიად განსაკუთრებული ადგილი აქვს მათი ქვეყნის ისტორიასა და ყოფაში. სპილოთა ფეხბურთი დიახაც რომ სანახაობაა, თუმც კი ნაღდი ფეხბურთის საქმეებზე ჩაფრენილა ბანგკოკს სერ ბობი ჩარლტონი, რომელიც ტაიელ საფეხბურთო მოხელეებს მხარდაჭერას სთხოვს — 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ინგლისში გაიმართოსო. ეს საკონტუმე საქმეა, მაგრამ სერ ბობის ერთი ბიჭიც უნახავს ბანგკოკის ღატაკ უბანში და უფიქრია, ოდესღაც ჩვენც ასე ვიწყებდითო.





REUTERS ტაიტიდან



# გარდაიცვალა

ორი წლის წინანდელ ფოტოზე აღბეჭდილნი არიან ფრანგი სერჟ ლანცი (მარჯვნივ) და ამერიკელი ბობ ბიტი, ისინი, ვინაც სათხილამურო სწრაფდაშვების მსოფლიო თასი დააარსეს. ფოტოს გამოქვეყნება მწუხარებას უკავშირდება 79 წლის ლანცი ორი დღის წინათ გულის შეტევით გარდაიცვალა.

**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli